


2013

TBILISI  
INTERNATIONAL  
FESTIVAL  
OF THEATRE

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი

*რეალობის ნატიფი გრძნობით*

თბილისის  
საერთაშორისო  
ინვესტიციური  
ფესტივალი





# სარჩევი Content

- საერთაშორისო სპექტაკლების პროგრამა / International Program - 6
- მთვარის შორი მხარე / The Far Side of the Moon - 8
- მაკბეტი / Macbeth - 18
- გოდოს მოლოდინში / Waiting for Godot - 24
- გულივერის მოგზაურობა / Gulliver's travels - 30
- დაკარგული / Missing - 36
- მარსელი / Marcel - 42
- პლატერო, მოგზაურობა ვირით / Platero. Travels with a donkey - 48
- ბრძოლის შემდეგ / After the Battle - 52
- ბავშვები და ძაღლები მოედნენ ქუჩას / The animals and children took to the streets - 58
- DERDIEDANS - 68
- ჩვენი კიდურების ნაწილები / Members of our limbs - 74
- ზენიტის AM/FM / Zenith AM/FM - 78
- რა უსასრულოდ, უსაზღვროდ ცივა... / How infinite, endless is this cold - 82
- იდიოტი. დაბრუნება / The Idiot. The Return - 86
- Nosferatu - 92
- ძმები კარამაზოვები / The brothers Karamazov - 98
- მასპინძელი თეატრები / Host Theatres - 102
- ინფორმაცია ბილეთების შესახებ / Box Office Information - 103
- ფესტივალის გუნდი / Festival Team - 104

ფესტივალის ინიციატორი და მასპინძელი  
Tbilisi International Festival of Theatre  
is Initiated and Hosted by



ფესტივალის მხარდამჭერი  
Festival Supporter



საქართველოს კულტურისა  
და სპორტის  
სამინისტრო

გენერალური პარტნიორი  
Primary Partner

ოქროს პარტნიორი  
Gold Partner



საქართველოს ბანკი  
SOLO

იჩიქენი მომავალი




განსაკუთრებული მადლობა JTI - ს მხარდაჭერისათვის  
Special thanks to JTI Group for generous support

ინიციატორები, მასპინძლები, პარტნიორები და მეგობრები - ყველა იმსახურებს ჩვენს გულითად მადლობას.  
მათ გარეშე ფესტივალი ვერ შედგებოდა...

Founders , partners and festival friends – all deserve OUR GRATEST THANKS!  
Without their support the FESTIVAL would not have been possible !

ჩვენს გვერდით დაარსების დღიდან / With us from the beginning



ოფიციალური მასპინძელი  
Festival Official Host Hotel



პროექტის პარტნიორი / Project partner



პარტნიორი  
Partner



ფესტივალის მასპინძელი  
The Festival is hosted by



ფესტივალის კლუბი  
Festival Club



საინფორმაციო მხარდაჭერა /Media Support





ეკატერინე მაზმიშვილი  
Ekaterine Mazmishvili

2013 და მეხუთე ამბავი ...

2013 and the fifth story ...

20 სექტემბრიდან თქვენ თანამედროვე თეატრის საუკეთესო ნამუშევრებს იხილავთ თბილისში - რეჟისორები, მსახიობები, მხატვრები - თეატრის ყველაზე თამამი ავტორები იმ ყველაზე გამომწვევ დისკუსიაში ჩაგიერთვენ, რაც მხოლოდ ხელოვნებას და თეატრს შეუძლია.

3 კვირის მანძილზე თქვენ იფიქრებთ იმაზე, რასაც აქამდე თქვენი აზრი მხოლოდ მსუბუქად შეეხო; სწორედ თეატრი შეგვახსენებს ყველაფერს, რაც ჩვენს ყურადღებას გამორჩა; თქვენს ოცნებებსა და აზრებს სითამამე შეემატება, ხოლო საუკეთესო მისწრაფებები კიდევ უფრო მყარი გახდება. ფესტივალი ერთგვარი მოგზაურობაა - გზა, რომელიც ბევრ აღმოჩენასთან ერთად მიგვიყვანს იქ, საითკენაც ჩვენი წარმოსახვა ჯერ მხოლოდ ბუნდოვნად მიიწევს; გაგვიძლიერებს იმ იმედს, რომელიც მუდმივია, მაგრამ ადვილად მსხვრევადი...

წელს ჩვენ წარმოგიდგინთ სპექტაკლებს, რომელიც თანამედროვე ადამიანისა და სამყაროს ერთგვარი "სნეჟ-შოტია", კადრი - რომელიც ასახავს ყველაფერს, რასაც დღეს ადამიანი განიცდის, რაზეც ოცნებობს, რასაც ცდილობს და რისკენაც მიილტვის; კადრი, რომელიც ბევრ დამოუკიდებელ ნაწილად იყოფა და ჩვენ კი მისი მთლიანობაში აღქმისას, ხშირად ყურადღებიდან გვრჩება შესაძლებელია ყველაზე მთავარი.

ადამიანი დაჭილდოვებულია „რეალობის ნატიფი გრძნობით“, მაშ მივყვით ამ გრძნობას უფრო თამამად ფესტივალთან ერთად!

From September 20 Tbilisi will be the host capital of the best works of contemporary theatre - artists, stage directors, stage designers - the mostly courageous authors of theatre will draw you in the challenging discussions, conversations that only art and theatre can provoke.

During the 3 weeks in golden days of Autumn your thoughts will go deeper, than ever; your ideas and dreams will become more daring; and your efforts more essential; exactly theatre will remind all of us everything, what we might overlook in life...

Festival is a journey ; journey that will help our delicate feelings to get deeper and strengthen our hopes. Hopes - so eternal and so fragile

This year we will present performances , that could be called a “frame” of humanity and universe. Frame – that reflect human dreams, expectations, possibilities, battles, aims and reasons; Shots – that consists of many small parts and we often overlook the importance of each part, importance of the smallest ...

We, humans, are awarded with the “elegant touch of reality”, so let us follow this feeling together with TBILISI INTERNATIONAL FESTIVAL OF THEATRE!

## საერთაშორისო სპექტაკლების პროგრამა

თარიღი	თეატრი	სპექტაკლი	დარბაზი	დასაწყისი
20, 21 სექტემბერი	კანადა, კომპანია Ex Machina	მთვარის შორი მხარე	შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი (დიდი სცენა)	20:00
23 სექტემბერი	პოლონეთი, იან კოხანოვსკის სახელობის თეატრი ოპოლე	მაკვეტი	ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრი (დიდი სცენა)	20:00
24 სექტემბერი	რუმინეთი, ეროვნული თეატრი „რადუ სტანსა“	გოდოს მოლოდინში	კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი (დიდი სცენა)	20:00
25, 26 სექტემბერი	რუმინეთი, ეროვნული თეატრი „რადუ სტანსა“	გულივერის მოგზაურობა	შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი (დიდი სცენა)	20:00
27, 28 სექტემბერი	დიდი ბრიტანეთი, კომპანია გეცკო	დაკარგული	კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი (დიდი სცენა)	20:00
29 სექტემბერი	სომხეთი, ერევნის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრი	მარსელი	კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი (დიდი სცენა)	20:00
1 ოქტომბერი	მაიკ მარანი და მარჯანიშვილის თეატრი, ნორვიჩის თოჯინების თეატრი, მერკურის თეატრი ქოლჩესტერი და NFA საერთა- შორისო ხელოვნება და კულტურა	პლატერო, მოგზაურობა ვირით რევისორი	კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი (დიდი სცენა)	20:00
3, 4 ოქტომბერი	იტალია, ემილია რომანას თეატრი, პიპო დელბონოს დასი	ბრძოლის შემდეგ	კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი (ახალი სცენა)	20:00
5, 6 ოქტომბერი	დიდი ბრიტანეთი, კომპანია 1927	ბავშვები და ძაღვები მოედნენ ქუჩას	თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრი (დიდი სცენა)	20:00

## პროგრამა NEW

22 სექტემბერი	რუმინეთი, ტიმიშოარას გერმანული სახელმწიფო თეატრი	DERDIEDANS	კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი (დიდი სცენა)	20:00
25, 26 სექტემბერი	ფინეთი, კალო კოლექტივი	ჩვენი კიდურების ნაწილები	კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი (მცირე სცენა)	20:00
27 სექტემბერი	დანია, კომპანია სპუტნიკი	ზენიტის AM/FM	კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი (ახალი სცენა)	18:00
29 სექტემბერი	ისრაელი, დამოუკიდებელი პროექტი	რა უსასრულოდ, უსაზღვროდ ცივა...	კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი (ახალი სცენა)	18:00
30 სექტემბერი	რუსეთი, მასტერსკაია	იდიოტი. დაბრუნება.	კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი (დიდი სცენა)	18:00
1 ოქტომბერი	რუსეთი, ტიუმენის ახალგაზრდული თეატრი «Angagement»	NOSFERATU	კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი (მცირე სცენა)	18:00
3 ოქტომბერი	პოლონეთი, თეატრი პროვისორიუმ	ძმები კარამაზოვები	კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი (მცირე სცენა)	18:00



## International Program

თარიღი	თეატრი	სპექტაკლი	დარბაზი	დასაწყისი
20, 21 September	Canada, Ex Machina	The far side of the Moon	Shota Rustaveli State Drama Theatre (Big Stage)	20:00
23 September	Poland, Opole Theatre	Macbeth	Alexander Griboedov State Russian Drama Theatre (Big Stage)	20:00
24 September	Romania, "Radu Stanca" National Theatre	Waiting for Godot	Kote Marjanishvili State Drama Theatre (Big Stage)	20:00
25, 26 September	Romania, "Radu Stanca" National Theatre	Gulliver's Travels	Shota Rustaveli State Drama Theatre (Big Stage)	20:00
27, 28 September	UK, Gecko Company	Missing	Kote Marjanishvili State Drama Theatre (Big Stage)	20:00
29 September	Armenia, Yerevan State Youth Theatre	Marcel	Kote Marjanishvili State Drama Theatre (Big Stage)	20:00
1 <sup>st</sup> October	Mike Maran Productions and Marjanishvili Theatre, Tbilisi, in association with Norwich Puppet Theatre, Mercury Theatre Colchester and NFA International Arts & Culture	Platero.Travels with a donkey	Kote Marjanishvili State Drama Theatre (Big Stage)	20:00
3, 4 October	Italy, Emilia Romagna Teatro – Compagnia Delbono	After the battle	Kote Marjanishvili State Drama Theatre (New Stage)	20:00
5, 6 October	UK, Company 1927	The animals and children took to the street	Nodar Dumbadze Tbilisi State Central Theatre (Big Stage)	20:00

## Program NEW

22 September	Romania, German State Theatre Timisoara	Derdiedans	Kote Marjanishvili State Drama Theatre (Big Stage)	20:00
25, 26 September	Finland, Kallo Collective	Members of our Limbs	Kote Marjanishvili State Drama Theatre (Small Stage)	20:00
27 September	Denmark, Sputnik Productions	Zenith AM/FM	Kote Marjanishvili State Drama Theatre (New Stage)	18:00
29 September	Israel, Independent Project	How infinite, endless is the cold	Kote Marjanishvili State Drama Theatre (New Stage)	18:00
30 September	Russia, Independent Project The St.Petersburg Theatre Masterskaya	The idiot. The return	Kote Marjanishvili State Drama Theatre (Big Stage)	18:00
1 October	Russia, Autonomous municipal Institution of Culture «Youth theatre «Angagement»	Nosferatu	Kote Marjanishvili State Drama Theatre (Small Stage)	18:00
3 ოქტომბერი	Poland, Provisorium Theatre	The brothers Karamazov	Kote Marjanishvili State Drama Theatre (Small Stage)	18:00



[www.lacaserne.net](http://www.lacaserne.net)



კომპანია Ex Machina, კანადა  
Ex Machina, CANADA

# მთვარის შორი მხარე The Far Side of the Moon

**20-21/09/2013**

ადგილი: შოთა რუსთაველის სახელობის  
სახელმწიფო დრამატული თეატრი  
(დიდი სცენა)

დასაწყისი: 20:00 საათზე

ხანგრძლივობა: 135 წუთი

(ერთ მოქმედებად)

ფასი: 55, 40, 30, 25, 20, 10 ლარი

Venue: Shota Rustaveli State Drama  
Theatre (Big Stage)

Beginning at: 20:00

Duration: 135 minutes

(without intermission)

Ticket Price: 55; 40; 30; 25; 20; 10 GEL

რეჟისორი: რობერტ ლეჰაჟი

კომპოზიტორი: ლაური ანდერსონი ©  
2000 რთული მუსიკა (BMI)

სცენოგრაფი: მარიე-კლაუდე პელეტეიერი  
(დამდგმლი რეჟისორის ასისტენტი)  
სპექტაკლში გამოყენებულია ბეთჰოვენის,  
ჯონ კოლტრეინის და ლედ ზეპელინის  
მუსიკა

ფოტოგრაფი: სოფი გრენიერი

მონაწილეობს: ივ ჟაკი

Directed by Robert Lepage

Composer Laurie Anderson © 2000


Difficult Music (BMI)

Scenography Marie-Claude Pelletier  
(assistant set designer)

Additional Music by Beethoven, John  
Coltrane, Led Zeppelin

Photographer Sophie Grenier

Cast: Yves Jacques



## კომპანია Ex Machina, საფრანგეთი

1994 წელს, როდესაც რობერტ ლეჰაჟმა თავის კოლეგებს სთხოვა ახალი დასისტვის სახელის შერჩევაში დახმარებოდნენ, ერთი პირობა წაუყენა – დასახელებაში არ უნდა ყოფილიყო სიტყვა თეატრი.

EX MACHINA არის მულტი-დისციპლინარული დასი, რომელიც მსახიობებს, მწერლებს, დამდგმელ რეჟისორებს, ტექნიკურ პერსონალს, ოპერის მომღერლებს, თოჯინების თეატრის მსახიობებს, კომპიუტერული გრაფიკის დიზაინერებს, ვიდეო არტისტებსა და მუსიკოსებს აერთიანებს. შემოქმედებითი ჯგუფი მიიჩნევს, რომ საშემსრულებლო ხელოვნება – ცეკვა, მუსიკა, სიმღერა აუცილებლად უნდა შეერწყას კინემატოგრაფიას, ვიდეო ხელოვნებას, მულტიმედიას. მათი რწმენით - უნდა გაიმართოს შეხვედრები დრამატურებსა და მეცნიერებს, სცენოგრაფებსა და არქიტექტორებს, კვებევის მსახიობებსა და დანარჩენი სამყაროს მსახიობებს შორის.

მათ სჯერათ, რომ ამ ურთიერთობების შემდეგ ნამდვილად ჩამოყალიბდება ხელოვნების ახალი ფორმები. თეატრი მიისწრაფის ახალი გამოწვევებისაკენ მუდმივად. მისი მიზანია გახდეს ერთგვარი ლაბორატორია, თეატრის ახალი ფორმების ინკუბატორი, რომელიც თანამედროვე მაყურებელს სწორედ ამ ახალი საუკუნის ენაზე დაელაპარაკება!



### წარმოდგენის შესახებ:

..ვიდრე გალილეო თავის ტელესკოპით მის ზედაპირს დააკვირდებოდა, ხალხს სჯეროდა, რომ მთვარე გლუვი სარკე იყო, ხოლო მისი მუქი ნაიარევები და იდუმალი კონტურები ჩვენი მთებისა და ზღვების ანარეკლი. შემდეგ აღმოაჩინეს, რომ ის მრგვალია, მაგრამ მის მეორე მხარეს ვერასდროს ვხედავთ. მეოცე საუკუნეში საბჭოთა

კავშირმა მთვარეზე გააგზავნა რაკეტა, რომელმაც დედამიწაზე ფოტომასალა გამოაგზავნა. ამ ფოტოებზე ჩანს მთავრის ის მხარე, რომელსაც დედამიწიდან ვერ ვხედავთ. შოკისმომგვრელ ფოტო მასალაზე ასახულია უთვალავი მეტეორისა თუ კოსმოსური ნამსხვრევებისგან დაფლეთილი და დაღარული მთვარის ზედაპირი. მრავალი ხნის განმავლობაში ამერიკელი მეცნიერები ამ ნაწილს მთვარის მახინჯ მხარეს უწოდებდნენ.

ასე იქნებ იმიტომ უწოდებდნენ, რომ მთვარის ამ მხარის ზოგიერთი ნაწილი საბჭოთა კოსმონავტების, პოეტებისა და გამომგონებლების სახელს ატარებდა. დღეს მას მთვარის შორეული მხარე ჰქვია.

მაშ ასე იწყება ფილიპის ეპიკური ისტორია. ისტორია ვაცისა, რომელმაც დაკარგა დედა; მოუწია ერთადერთ ახლობელთან - პატარა ძმასთან განშორება. სამყაროს საიდუმლო ცოდნა კი აიძულებს ყველაზე გაბედულებს ცაში იყურონ და იფიქრონ. დროს და ადგილს ფილიპისათვის მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, რომ სამყაროს და სამყაროში ადამიანის ადგილის მნიშვნელობაზე იფიქროს.

რა კავშირშია მთვარის შორეული მხარე ჩვენთან, ადამიანებთან და ჩვენს სამყაროსთან? რა გამბედაობაა საჭირო, რომ მიუხედავად მინიერი სირთულეებისა, ვარსკვლავებისაკენ მივილტვოდეთ. რა გამბედაობაა საჭირო მივილტვოდეთ „მთვარის იმ შორეული მხარისაკენ“, რომელსაც ვერ ვხედავთ.

კოსმოსური რბოლის დროს საბჭოელებისა და ამერიკელების გაუთავებელი კონკურენცია (დედამინის გარეთ არსებული სიცოცხლის ძიება), ბავშვობის მოგონებები და სიყმაწვილე ერთ-ერთი კრიტერიუმი კაცისთვის, რომელსაც სურს პასუხი გასცეს ფუნდამენტურ შეკითხვას - „მარტონი ვართ?“. ლაური ანდერსონმა ხაზი გაუსვა სამყაროს მამულებს. სპექტაკლს „მთვარის შორი მხარე“ ლეჰაჟის მაგიური თეატრალური ფრთებით სხვა სამყაროში გადაჰყავს მაყურებელი.

## პრესა:

ლეჰაჟი ბენიერია, რომ თვითონ დედამიწაზე რჩება და მაყურებელს კი მთვარეზე უშვებს.

31 ოქტომბერი, 2012 წელი, მარკ ლეირენ-იანგი, The Vancouver Sun.

რობერტ ლეჰაჟს ნამდვილად არ სურს მთვარეზე წასვლა. მისი მეგობარი კი მართლა წავიდა .

Cirque du Soleil-ის დამფუძნებელი გაი ლალიბერტე იყო პირველი კერძო პირი



მთელს დედამიწაზე, რომელმაც 3 მილიონ დოლარიანი ჩეკი გამოწერა, რომ რუსული რაკეტით მთვარეზე გაფრენილიყო.

სატელეფონი ინტერვიუში The Vancouver Sun მწერალმა, რეჟისორმა და სპექტაკლის „მთვარის შორი მხარე“ მანათობელმა ვარსკვლავმა რობერტ ლეჰაჟმა თავისი ქუბუკის ოფისიდან განაცხადა, რომ გასაფლანგი 30 მილიონი რომც ჰქონოდა, მაინც არ დახარჯავდა ამ თანხას სხვა კოსმოსურ სივრცეში გასაფრენად. „შესაძლოა თავისუფლად ყოფნას ვარგად არ ემოქმედა ჩემზე და არ წავიდოდი - აი, ასეთი ქათამი ვარ. ვფიქრობ, დიდი გამბედაობაა ამისათვის საჭირო.“

შეუძლებელია, უმიზარ ადამიანად არ წარმოგიდგეთ კანადის ყველაზე ცნობილი შემოქმედი. ლეჰაჟმა, როგორც მწერალმა, რეჟისორმა და ნოვატორმა, შექმნა ახალი თეატრალური ენა და მოძრაობისა და ფანტაზიის ის ფორმა, რომელიც ამ ენას შეესაბამება.

სპექტაკლი „მთვარის შორი მხარე“, რომელსაც ბევრი კრიტიკოსი

მიიჩნევს ლეჰაჟის შედევრად, 2000 წელს შეიქმნა. თავდაპირველად ეს იყო ღრმად პირადული ტექსტი, ერთი მსახიობის წარმოდგენა, ისტორია ვაცისა, რომელიც ცდილობს თავი დააღწიოს დედის გარდაცვალებით მიღებულ ტკივილს და სიმარტოვისგან ოცნებობს მონაწილეობა მიიღოს საბჭოთა კოსმოსურ პროგრამაში. სპექტაკლის მუსიკალური გაფორმება ლაური ანდერსონს ეკუთვნის. ის გახდა პირველი არტისტი, ვინც "NASA"-ს რეზიდენციის პროგრამაში მონაწილეობდა.

სპექტაკლი ბევრჯერ გადააკეთდა, მიიღო არაერთი ჯილდო.

რობერტ ლეჰაჟმა ბოლოს 2007 წელს ითამაშა წარმოდგენაში, შემდეგ თავისი როლი ივ ჟაკს გადაულოცა. თუმცა „არც ისე მშობარა მსახიობი“ - ლეჰაჟი კვლავ დაუბრუნდება მსახიობის პროფესიას 6 ნოემბერს, მას მთავარი როლი შესთავაზეს ფრანგულ ეპიკურ ფილმში „მონაკოს პრინცესა“.

შეკითხვას, რა გზა გაიარა სპექტაკლმა პრემიერის შემდეგ, ლეჰაჟმა

უპასუხა: „ვეფიქრობ სპექტაკლი უფრო მეტად ეკონომიური გახდა; კარგად არის დანერგილი და საკმაოდ სიტყვამრავალი წარმოდგენაა, ბევრი რამ ამოვიღეთ. სპექტაკლი არაერთხელ გადაკეთდა. იგი უფრო უნივერსალური გახდა. ძალიან ბევრი დეტალი დროთა განმავლობაში დაიხვეწა და ჩამოყალიბდა - რაც ნაკლებად საინტერესო იყო, ამოვარდა.“

ბოლოს ლეჰაჟმა 2007 წელს ითამაშა მოსკოვში, სადაც ჩეხოვის ფესტივალს გამოცხადებული ჰქონდა „რობერტ ლეჰაჟის თვე“ და კოსმონავტი, რომელის ისტორიაზეცაა აგებული სპექტაკლი, ესწრებოდა ფესტივალს. „შემძლო თავად მეთამაშა ან ივს შეესრულებინა ჩემი როლი. ვიცოდი, რომ გახსნის ცერემონიაზე ალექსეი ლეონოვი აუცილებლად მოვიდოდა. ჩემი დიდი პატივისცემა გამოვხატე რუსული კოსმოსური პროგრამის მიმართ.“ ასე, რომ ლეჰაჟი კვლავ დაბრუნდა მთვარეზე.

შოუს დასასრულს ლეონოვმა (პირველი ადამიანია ვინც კოსმოსში იმოგზაურა 1965 წელს) ლეჰაჟს ხის ჭურჭელით გადასცა არაყი, რომელიც ერთ-ერთ საბჭოთა კოსმოსურ მისიაზე ჰქონდათ წაღებული.



ვანკუვერში მუშაობის ადრეული პერიოდის შესახებ ლეჰაჟი ამბობს, რომ ძალიან ხშირად ხვდებოდა ხალხს, ვისაც ის ნანახი ჰყავდა Firehall Theatre-ის სპექტაკლში „ცირკულაციები“ ჯერ კიდევ 1984 წელს. „მეუბნებიან - 'შენ ის ხარ!'“. ლეჰაჟი სიცილით იხსენებს, რომ მაშინ უწევდა თამაში მაყურებელთა დარბაზისათვის, სადაც ხშირად მხოლოდ 2 კაცი იჯდა. რობერტ ლეჰაჟი ჯერ კიდევ აღფრთოვანებულია ამით, რადგან ყოველთვის სურდა ვანკუვერში ცხოვრება. მიუხედავად იმისა, რომ თავად არ სურს მთვარეზე სტუმრობა, ლეჰაჟს მიზნად აქვს დასახული მაქსიმალურად გამოიყენოს საკუთარი შესაძლებლობები ამ პლანეტაზე. რამდენიმე წლის წინათ იგი დათანხმდა და მონაწილეობა მიიღო თანამედროვე ცეკვის სპექტაკლში Eonnagata. უკვე 50 წელს გადაცილებული ლეჰაჟი ნამდვილი პროფესიონალი მოცეკვავესავით ცეკვავდა. „4 წლის მანძილზე 35 ფუტის დაკლება მომიწია,“ - ამბობს ლეჰაჟი, - „ეს იყო ექსტრაორდინალური გამოწვევა და დიდი ცვლილება ჩემს ცხოვრებაში.“

ბოლო წლებში იგი ვიდეოთამაშმა „Guitar Hero“ გაიტაცა. ვირტუალურ გიტარაზე დაკვრის შესწავლის შემდეგ ლეჰაჟმა გადანყვიტა რეალურ კლავიშებს

შესტიდებოდა. „მივატოვე „Guitar Hero“ და ბოლო 2 წელია კლავიშებზე დაკვრას ვსწავლობ. არ ვიცი, თუ გამბედაობა მეყო, იქნებ მომდევნო სპექტაკლში დავუკრა, მაგრამ ამ ეტაპზე მინდა უფრო მეტი აღმოვაჩინო ამ დარგში.“

რობერტ ლეჰაჟს შესაძლოა არ სურდეს ნამდვილი კოსმონავტობა, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია მთვარეზე მყოფ კაცს არ ეყოს იმის გამბედაობა, რომ ძალიან მალე სცენაზე დაუკრას.

## Ex Machina, Canada

In 1994, when Robert Lepage asked his collaborators to help find a name for his new company, he had one condition: the word theatre could not be part of the name.

Ex Machina is thus a multidisciplinary company bringing together actors, writers, set designers, technicians, opera singers, puppeteers, computer graphic designers, video artists, contortionists and musicians.

Ex Machina's creative team believes that the performing arts - dance, opera, music - should be mixed with recorded arts - filmmaking, video art and multimedia. That there must be meetings between scientists and playwrights, between set painters and architects, and between artists from Québec and the rest of the world.

New artistic forms will surely emerge from these gatherings. Ex Machina wants to rise to the challenge and become a laboratory, an incubator for a form of theatre that will reach and touch audiences from this new millennium.

## About performance:

"Before Galileo turned his telescope towards its surface, people believed the moon was a polished mirror, its dark scars and mysterious contours reflections of our own mountains and seas. Much later in the 20th century the Soviets launched a probe to circle the moon. When it returned images of the hidden face of the moon, the one we can never see from earth, we were shocked to learn that there existed a pounded and scored face of the moon, wounded by countless meteors and storms of celestial debris. For many years American scientists called this the disfigured side of the moon. Perhaps this was because the features that comprise the far-side of the moon bear the names of Soviet cosmonauts, poets, and inventors."

So begins the epic story of Philippe, a man coping with the recent loss of his mother, the estrangement of his only sibling, his younger brother André; and the mysterious teachings the universe holds for those brave enough to look up to the stars and ponder. Time and place are secondary to Philippe's search for meaning in the universe and his place in it.

The competition between the Soviets and Americans during the Space race, the SETI programme (Search for Extra-Terrestrial Intelligence), and memories from childhood and adolescence act as touchstones for this one man show dealing with the fundamental question, "Are we alone?". Punctuated by Laurie Anderson's other worldly score, *The Far Side of the Moon* is a show which takes the audience to other worlds on the steady wings of Lepage's theatrical magic.

## Press:

LEPAGE HAPPY TO STAY ON EARTH WHILE HE TAKES AUDIENCES TO THE MOON

October 31, 2012, Mark Leiren-Young, *The Vancouver Sun*

Robert Lepage doesn't really want to go to the moon.

His friend did — for real. In 2009, Cirque du Soleil founder Guy Laliberte became one of the first private citizens on the planet to write a cheque for thirty million dollars to hop a ride on a Russian rocket.

In a phone interview with *The Vancouver Sun* from his office in Quebec, the writer, director and occasional star of *Far Side of the Moon* says that even if he had \$30 million to spare, he wouldn't spend it on a trip to outer space. "I could be offered to go free and I wouldn't go — that's how chicken I am. You really have to be fearless, I guess."

It's hard to imagine anyone thinking of Canada's most acclaimed theatre artist as anything less than fearless. As a writer, director and innovator, Lepage has created a new theatrical vocabulary and a language of movement and imagery to go along with it.

*Far Side of the Moon* — which some critics consider his masterpiece —





began life in 2000 as a deeply personal solo show about a man coping with the loss of his mother and dreaming of the loneliness of the Soviet space program. The show's score was created by Laurie Anderson — who became NASA's first artist in residence.

In the numerous reimaginings, remounts and restagings, which have received enough awards and accolades to fill the rest of this page, Lepage stepped out of the role, handing it over to Yves Jacques. Lepage hasn't performed the part since 2007. But the not-so-chicken performer will step back on stage Nov. 6

— midway through the Vancouver run — because his star was offered a leading role in the epic French film *Grace of Monaco*.

Asked how the show has evolved since its debut, Lepage says, "I think the show is more economical; it's better written and a lot of redundancies, a lot of old skin has been shed. It's more universal, it has lost a lot of its ugly braces and push-up bras."

The last time Lepage performed the show was in Moscow in 2007, where a Chekhov festival had declared "Robert Lepage Month" and the cosmonaut who inspired part of the play was going to be in

attendance. "I had the chance to perform it myself or to ask Yves to do it. We knew that on the night of the opening Alexei Leonov was going to be there and it's all about my admiration for the Russian space program." So Lepage briefly returned to the moon.

After the show, Leonov, the first man to ever walk in space (in 1965) presented Lepage with a bottle of vodka sculpted in wood that was on one of the original Soviet space missions.

Asked about performing in Vancouver, Lepage says every so often he runs into someone who saw him during his first West Coast appearance at the




Firehall Theatre with his show *Circulations*, back in 1984 and he'll say, "You're the one." Lepage laughs as he recalls doing the show for audiences of two — and still being thrilled because he'd always wanted to spend time in Vancouver.

When *Far Side of the Moon* touches down it's a safe bet that not only won't there be any two-person houses, it's unlikely there will be two empty seats.

Even though he's not willing to visit the moon, Lepage is always game to test his limits on this planet. A few years ago he agreed to join a dance show — *Eonnagata* — as a dancer, just after turning 50, even though he had never danced professionally. "I had to lose 35 pounds for four years of my life," says Lepage. "It was an extraordinary challenge and a big life changer."

More recently, Lepage set himself another challenge. Over the last few years he became obsessed with *Guitar Hero*. After learning the imaginary guitar, Lepage decided he'd try to conquer the real life keyboard. "I abandoned my *Guitar Hero* and for the last two years I've been learning to play keyboard. I don't know if I'll have the courage to do that in a future show, but it kind of gives me a hint I should explore that a bit more." He may not be willing to become a real-life cosmonaut, but it's hard to believe the man on the moon won't have the courage to try the keyboard on stage sometime soon.







## ფესტივალის გენერალური პარტნიორი

თუ თქვენთვის მნიშვნელოვანია დაზოგოთ დრო, მიიღოთ მაქსიმალურად მომგებიანი, კომფორტული საბანკო მომსახურება და იყოთ გამორჩეული, მაშინ SOLO თქვენთვისაა შექმნილი.

SOLO მომსახურება 3 წლის გახდა და ამ დროის განმავლობაში მუდმივად ზრუნავს თავის ერთგულ SOLO მომხმარებელზე, სთავაზობს მათ გამორჩეულ მომსახურებასა და პროდუქტებს. თუმცა ჩვენი შეთავაზებები არ შემოიფარგლება მხოლოდ საბანკო მომსახურებით, ამიტომაც SOLO Lifestyle-ის ფარგლებში გთავაზობთ სპეციალურ ფასდაკლებებსა და ექსკლუზიურ ღონისძიებებს, მასტერკლასებს თქვენთვის საინტერესო თემებზე და სხვადასხვა სპეციალობის პროფესიონალებთან მჭიდრო, საქმიანი ურთიერთობების დამყარების შესაძლებლობას.

ჯერ არ ხარ SOLO? გჭირდებათ კომფორტული, მომგებიანი, გამორჩეული მომსახურება? დაგვიკავშირდით ან შეავსეთ განაცხადი ჩვენი ვებგვერდიდან.



<http://teatropole.pl/en/macbeth>

Teatr im. Jana Kochanowskiego w Opolu



იან კოხანოვსკის სახელობის თეატრი ოპოლე, პოლონეთი  
Opole Theatre, POLAND

უილიამ შექსპირი  
**მაკბეტი**

William Shakespeare  
**Macbeth**



**23/09/2013**

ადგილი: ალექსანდრე გრიბოედოვის  
სახელობის რუსული დრამატული თეატრი  
(დიდი სცენა)  
დასაწყისი: 20:00 საათზე  
ხანგრძლივობა: 120 წუთი  
(ერთ მოქმედებად)  
ფასი: 55, 35, 25, 20, 15 ლარი

Venue: Alexander Griboedov State  
Russian Drama Theatre (Big Stage)  
Beginning at: 20:00  
Duration: 120 minutes  
(without intermission)  
Ticket Price: 55; 35; 25; 20; 15 GEL

რეჟისორი: მაია კლემენცვა  
კომპოზიტორი: ვალდემარ ვრობლევსკი  
სცენოგრაფი: კატარჟინა ბორკოვსკა  
ფოტოგრაფი: რატალ მიელნიკი

მონაწილეობენ:  
მიხალ მაჟნიცი, პრჟემისლავ კობლოვსკი,  
ადამ სიოლევკი, მიროსლავ ბედნარევი,  
მიხალ სვიტალა, ლეშეკ მალევი,  
გუგოლჟ მინკევიჩი, ჯუდიტა პარადინსკა,  
ალექსანდრა ცვენე, ევა ვიშომირსკა, ანჯეი  
ჯაკუბუჟიკი, მაცეი ნამისლო, ლუკაშ შმიდტი

Directed by Maja Kleczewska  
Composer Waldemar Wróblewski  
Scenography Katarzyna Borkowska  
Photographer Rafał Mielnik

Cast:  
Michał Majnicz, Przemysław Kozłowski,  
Adam Ciolek, Mirosław Bednarek, Michał  
Świąta, Leszek Malec, Grzegorz Minkiewicz,  
Judyta Paradzińska, Aleksandra Cwen, Ewa  
Wyszomirska, Andrzej Jakubczyk, Maciej  
Namysło, Łukasz Schmidt

## იან კოხანოვსკის სახელობის თეატრი ოპოლე, პოლონეთი

### თეატრის შესახებ:

თეატრი ოპოლე ბოლო წლებში ახალგაზრდა შემოქმედთა თავშეყრისა და დისკუსიების განსაკუთრებულ ადგილად იქცა; სივრცედ, სადაც ახალ, კრეატიულ და სარისკო იდეას მუდმივად განიხილავენ; ოპოლე ყოველთვის მზადაა გადალახოს საზღვრები, დაამსხვრიოს დოგმები.

სწორედ ამ თეატრში მოღვაწეობენ ის რეჟისორები, რომლებიც წლების განმავლობაში ქმნიან და აყალიბებენ პოლონური თეატრის სტილისტიკასა და თავისებურებებს (მაია კლეჩევსკა, მიხაელ ბორზუხი, კრიშტოფ გარბაჩევსკი). მათი ყოველი დადგმა გამორჩეული ქმნილებაა,



რომელსაც თავისი, გამორჩეული თეატრალური ენა აქვს.

ოპოლე თეატრის წარმოდგენებს მიღებული აქვს არაერთი პრიზი საერთაშორისო თუ შიდა ფესტივალებზე. თეატრი, აგრეთვე მონაწილეობას იღებს პრესტიჟულ საერთაშორისო პროექტებში. ბოლო წლებში ეს კოლექტივი ვარშავის თეატრალურ შეხვედრათა მუდმივი მონაწილეა. კრაკოვის ფესტივალზე „ღვთაებრივი კომედია“ თეატრმა უკვე ორჯერ დაიმსახურა მთავარი პრიზი. ოპოლე თეატრმა წარმოდგენები გამართა ლონდონში, სეულში, თბილისსა და ნიუ-იორკში.

კრიტიკოსებმა და თეატრმცოდნეებმა ოპოლე თეატრი პოლონეთის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვან თეატრალურ ცენტრად აღიარეს.

### წარმოდგენის შესახებ:

შექსპირზე უკეთ ვერავინ შეძლებდა უფრო ღრმად ეჩვენებინა სამყარო. იცვლება დრო, ეპოქა, მაგრამ ადამიანთა სურვილები, ვნებები და მისწრაფებები უცვლელია...

მაია კლეჩევსკამ შექსპირის ტექსტში



დაუნდობელი და შმაგი თანამედროვე ეპოქა აღმოაჩინა. მეფე დუნკანი სადღაც პრუსუკოვისა და ვოლომინის შორიახლოსაა, მაკბეტისა და ლედი მაკბეტის არშემდგარი ქორწინება. . . და ეს სამყარო ძალიან ახლოსაა დევიდ ლინჩისა და პედრო ალმადოვარის ფილმებში ასახულ რეალობასთან. როგორ იბადება ბოროტება? ვინ აგებს ამაზე პასუხს? რამდენად შეგვიძლია

წარვმართოთ საკუთარი ბედი და როგორ გვმართავს ბედისწერა? – ამ კითხვებს სვამს მიაი კლეჩევსკა სპექტაკლში.

პრესა:

. . . აქ სამყარო ბევრად უფრო ცინიკურია, ვიდრე შექსპირის პიესაში. . . . აქ ღმერთის ძიებას აზრი არა აქვს, ამ ზემგრძნობიერ სამყაროში, ბუნების ძალებში. . .

....კლეჩევსკას რეჟისურა ქალური დაუნდობლობით გამოირჩევა. იგი

წარმოგვიდგენს სამყაროს, სადაც მხოლოდ ძალადობა და სისხლისღვრაა. ბოროტება არაა ბანალური მოვლენა – მიაი კლეჩევსკა ნაბიჯ-ნაბიჯ გვიჩვენებს, როგორ იბადება ბოროტება და როდის პოულობს შესაფერის მომენტს გამოვლენისათვის.

## Opole Theatre, POLAND

In recent seasons the Opole Theatre in Poland has undoubtedly become a place of meeting and dialogue for the young Polish theatre, a space where everything which is novel, creative, risky, crossing borders and questioning canons in theatre finds its place and justification.

It is here where performances are created by the directors who, for several years, have been setting the standard and forming the style of the Polish theatre (Maja Kleczewska, Michał Borczuch, Krzysztof Garbaczewski) – the style which, however, as represented by each of them is an individual creation, their own, autonomous theatre language.

The prestige of the Opole Theatre in recent seasons has been primarily determined by numerous invitations to important Polish and international theatre festivals, as well as the participation in international prestigious projects. For a few years, the Theatre has been a regular visitor to Warsaw Theatre Meetings, “The Divine Comedy” Festival in Cracow, where it has won awards already twice. It has presented performances in London, Seoul, Tbilisi and New York.

Opole Theatre has been acclaimed by critics and teatrologists as one of the most exciting theatre centres in Poland, it is also regarded as the most important place of debut of the recent years.

### About performance:

Nobody than Shakespeare could better and in a more sensitive way put the mirror to the nature. The times and epochs change, but human desires, passions and dreams remain the same.

Maja Kleczewska found our entire modernity in the text of Shakespeare



along with its cruelty and evil. The King Duncan is located somewhere between Pruszków and Womin, Mackbeth and Lady Mackbeth, are an unfulfilled marriage, and the world presented seems to be very close to the reality of the movies by Lynch and Almodowar.

Kleczewska asks a question: how is the evil born, who is responsible for this, to what extent we direct our fate and to what extent it plays with us?

Press:

...It is even a more cynical world than the one in Shakespeare's play...

...There is no use looking for a God here, an extrasensory world, the forces of nature...

Kleczewska directs with all the feminine ruthlessness that I know. She shows a world in which only the patterns of violence, rape, murder operate. The play does not say that evil is banal. It shows step by step, as it is born, gaining momentum...



# ჯიზისი G P C



საქართველოში ძალიან დიდი შემოქმედებითი პოტენციალია, რომელსაც აქტიური მხარდაჭერა სჭირდება.

ვფიქრობთ, თბილისის საერთაშორისო თეატრალურმა ფესტივალმა ბოლო წლების მანძილზე საკმაოდ ღირსეული სტატუსი მოიპოვა და ხელი შეუწყო ქვეყნის საერთაშორისო ცნობადობის ამაღლებას.

მსგავსი ღონისძიებები ხელს უწყობს საზოგადოების შემოქმედებით და ინტელექტუალურ განვითარებას. ჯიზისი მუდმივად ზრუნავს რაც შეიძლება მეტი ფასეულობა შეუქმნას თავის მომხმარებელს და ამიტომაც ჩვენ დიდი ერთუზიანებით ჩავერთეთ იმ ინიციატიურ პროექტში, რომელსაც თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი ჰქვია.

ჩვენ გვვამყვება, რომ ჯიზისის თავისი მოკრძალებული წვლილი შეაქვს საქართველოს კულტურული ცხოვრების განვითარებაში და მომავალშიც გავავრძელებთ ფესტივალის აქტიურ მხარდაჭერას.





[www.tnrs.ro](http://www.tnrs.ro)



TEATRUL NAȚIONAL  
RADU STANCA SIBIU  
FONDAT ÎN 1788

ეროვნული თეატრი „რადუ სტანსა“, რუმინეთი  
“Radu Stanca” National Theatre, ROMANIA

სემუელ ბეკეტი

## გოდოს მოლოდინში

Samuel Beckett

## Waiting for Godot



# 24/09/2013

ადგილი: კოტე მარჯანიშვილის  
სახელობის სახელმწიფო დრამატული  
თეატრი (დიდი სცენა)  
დასაწყისი: 20:00 საათზე  
ხანგრძლივობა: 120 წუთი  
(ორ მოქმედებად)  
ფასი: 35, 20, 15 ლარი

Venue: Kote Marjanishvili State Drama  
Theatre (Big Stage)  
Beginning at: 20:00  
Duration: 120 minutes  
(with one intermission)  
Ticket Price: 35; 20; 15 GEL

თარგმანი გელუ ნაუმის  
რეჟისორი: სილვიუ პურკარეტე  
სცენოგრაფი: სილვიუ პურკარეტე  
ფოტოგრაფები: ლივიუ ვლადი, კატალი  
ნეგინა, კლაუდიო რუსუ

მონაწილეობენ:  
კონსტანტინ კირიაკი, მარიან რალეა,  
კრისტიან სტანსა, პალი ვეცსეი,  
ალექსანდრუ ნიკოარა

მუსიკოსები: სენა დუკარიუ, აურელ ტანკუ,  
ლავრიმა მარია სტანსკუ

Translated by Gellu Naum  
Directed by Silviu Purcărete  
Scenography Silviu Purcărete  
Photographers Liviu Vlad, Catalin  
Neghina, Claudiu Rusu

Cast:  
Constantin Chiriac, Marian Rălea, Cristian  
Stanca, Pali Vecsei, Alexandru Nicoară

Musiciens :  
Sena Ducariu, Aurel Tancu  
Lacrima Maria Stănescu



**ეროვნული თეატრი „რადუ სტანსა“, რუმინეთი**

**თეატრის შესახებ:**

ეროვნული თეატრი „რადუ სტანსა“ ოფიციალური წყაროებით 1948 წლის 1 აპრილს შეიქმნა სიბიუში, ქალაქის მუშათა კლასის მიერ. თუმცა თეატრის დაარსების თარიღად 1788 წელი ითვლება. ამ წელს ქალაქის გალავნის საგუშაგო კოშკი თეატრალურ წარმოდგენათა ადგილად იქცა. ამჟამად ამ სცენას რუმინული და გერმანული თეატრები ინანილებენ. 1957 წელს თეატრს გერმანული ნაწილი შეემატა და რეპერტუარი უფრო მდიდარი და მრავალფეროვანი

გახდა. გერმანული და რუმინული თეატრები აღრეული პერიოდიდანვე თანამშრომლობდნენ „რადუ სტანსას“ სცენაზე. თეატრის ისტორიასა და განვითარებაში, უდიდესია ცნობილი რეჟისორის, ესეისტისა და დრამატურგის - რადუ სტანსას დამსახურება. ამიტომაც მოგვიანებით თეატრს დიდი რეჟისორის სახელი უწოდეს. რადუ სტანსას ამ სცენაზე დადგმული აქვს ვარაჯალეს, დელავრანკას, მოლიერის, გოგოლისა და ჩეხოვის პიესები. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბარბუ სტეფანესკუ დალავრანკას “Hagi Tudose”-ის 1953 წელს სახელმწიფო პრემიითაც

აღინიშნა. „რადუ სტანსა“ დღეს მსოფლიო თეატრალური ცენტრია, სიბიუს საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის მთავარი მასპინძელი და მსოფლიოს ყველაზე მნიშვნელოვანი და პრესტიჟული ფესტივალების საპატიო მონაწილე.

წარმოდგენის შესახებ: „გოდოს მოლოდინში“ არ არის თეზისები. წარმოდგენა მორალს არ ქადაგებს და არც იმედი მოჩანს სადმე. ასეთი პიესის არსს რომ ჩანვდე, უნდა წარმოიდგინო, როგორია



ადამიანის სულში მოცეული უსასრულო სამყარო, რა ხდება ორი უსახლკარო ადამიანის გულში, დაუსრულებლად წინააღმდეგობაში მყოფი კაცობრიობის ფონზე.

ბეკეტი არ გვეუბნება საით მიისწრაფის კაცობრიობა, იგი საშუალებას გვაძლევს თავად დავფიქრდეთ - სწორედ ესაა მისი გენიალურობა.

პიესა „გოდოს მოლოდინში“ მარად აქტუალურია. წარმოდგენაში ნაჩვენებ კონკრეტულ გრძნობებსა და ემოციას, ბეკეტის დახმარებით, საკუთარ განცდებად აღვიქვამთ... ჩვენც გოდოს მოლოდინში ვართ - ვედრება, რეფლექსი, კედელი. . .

გოგო და დიდი ორი ექსტრა-ორდინალური პერსონაჟის ტანდემია. სილვიუ პუკარეტე ბეკეტის სამყაროს ნათელი პირდაპირობით აღწერს. ამავდროულად ყველაფერი გახვეულია რაღაც თბილ, გრძნობებით მოცულ, ამოუხსნელ გარემოში.

### პრესა:

„ყოველთვის რთულია გაავლო ზღვარი რეალურ დიალოგსა და სიურეალისტურ, ირაციონალურსა და ვირტუალურს შორის. ბეკეტის პიესაზე აგებულ სპექტაკლში ერთგვარად კინემატოგრაფიის ელემენტები შეინიშნება: გზადგმა გვხვდება ძალიან მოკლე, სუნთქვის შემსუთველი მომენტები, რომლებიც ფანტაზიის უანრს უფრო განეკუთვნება. ეს რეალურისა და ირეალურის ჰალუცინაციური მონაცვლეობაა.“

მარინა კონსტანტინესკუ



## Radu Stanca” National Theatre, ROMANIA

“Radu Stanca” National Theatre in Sibiu is a public cultural institution subsidized by the Local Council of Sibiu, Romania. Though the official beginning of “Radu Stanca” National Theatre is dated on April 1st, 1948, when Sibiu Working - Class Theatre became a permanent theatre, the Sibiu theatre must be followed starting 1788, when the Thick Tower of the town defense wall became a theatre performance hall, where both the Romanian and the German departments share the stage nowadays.

The year 1956 marks the beginning of the German Department as part of the Sibiu State Theatre, which distinguishes itself through an intense and rich theatre performance repertory.

The Romanian and the German departments have been sharing the stage of the “Radu Stanca” National Theatre from the very beginning.

Among the most important personalities working at “Radu Stanca” Theatre, Radu Stanca - stage manager, essayist, and playwright - had such an important influence in the theatre life that the theatre was named after him. As a director, Radu Stanca staged plays from both the national and international repertory: from Caragiale and Delavrancea, to Molière, Gogol, and Chekhov, who constitute the basic elements of the Romanian Theatre. In this respect, we should mention the great success of the well-known performance “Hagi Tudose” by B. St Delavrancea, rewarded with The State Prize in 1953.



### About Performance:

„Waiting for Godot” is not a play with a thesis; it brings no moral to be imposed to the audience, it hides no particular hope within.

In order to understand such a play, one must see in it the infinity of the world reduced to the dimensions of their own spirit and in the two vagrants, an endless ambivalent humanity.

Beckett sees not to put at our disposal the key to the events that we are forever searching for and he proves his technical ingenuity by playing with our expectations.

„Waiting for Godot” has the power of an infinite adaptability. The play speaks of feelings and emotions that have not been yet expressed but which, with Beckett as guide, we can identify as being our own... Godot’s waiting – an invocation, a reflex, a wall...

Gogo and Didi, two actors, two extraordinary characters in a tandem directed by Silviu Purcurete, reveal Beckett’s world directly, clearly and at the same time, all wrapped up in some warm, particular, emotional mystery.

### Press:

„Always on the edge between the real dialogue and the sliding into the surreal, the irrational, the virtual. In dreams. Beckett’s play includes in the performance a sort of cinematographic editing. A pathway of short, spasmodic moments which mark in a more obvious way the deviations towards fiction, towards the hallucinating oscillation between essence and appearances.”

Marina Constantinescu

სასტუმრო Holiday Inn Tbilisi და მისი მფლობელი კომპანია „აჯარა ჯგუფი“ როგორც საქართველოში მოქმედი ყველაზე დიდი კომპანია სასტუმროების ინდუსტრიაში მხარს უჭერს თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალს, როგორც პირველი ოფიციალური მასპინძელი და გამოთქვამს მზადყოფნას უმასპინძლოს ფესტივალის მონაწილეებს სხვადასხვა ქვეყნებიდან. ფესტივალის მსვლელობის პერიოდში სასტუმროში გაიმართება სხვადასხვა თემატური ღონისძიებები, სადაც ყველა სტუმარს შესაძლებლობა ექნება გაეცნოს ფესტივალის მსვლელობას სასიამოვნო გარემოში.

# ADJARA GROUP

HOSPITALITY



INTERCONTINENTAL  
TBILISI



Holiday Inn  
TBILISI & BATUMI



ROOMS HOTELS

LIMITLESS  
HOSPITALITY

---

THE FASTEST GROWING PRIVATELY HELD OWNER AND  
OPERATOR COMPANY IN GEORGIAN HOSPITALITY INDUSTRY.

CONTACT@ADJARAGROUP.COM



[www.tnrs.ro](http://www.tnrs.ro)





TEATRUL NAȚIONAL  
RADU STANCA SIBIU  
FONDAT ÎN 1788


ეროვნული თეატრი „რადუ სტანსა“, რუმინეთი  
“Radu Stanca” National Theatre, ROMANIA

ჯონათან სვიფტი

## გულივერის მოგზაურობა

Jonathan Swift

## Gulliver's travels



# 25-26/09/2013

ადგილი: შოთა რუსთაველის სახელობის  
სახელმწიფო დრამატული თეატრი  
(დიდი სცენა)  
დასაწყისი: 20:00 საათზე  
ხანგრძლივობა: 85 წუთი  
(ერთ მოქმედებად)  
ფასი: 55, 40, 30, 25, 20, 10 ლარი

Venue: Shota Rustaveli State Drama Theatre  
(Big Stage)  
Beginning at: 20:00  
Duration: 85 minutes (without intermission)  
Ticket Price: 55; 40; 30; 25; 20; 10 GEL

რეჟისორი: სილვიუ პურცარეტე  
კომპოზიტორი: შონ დევი  
სცენოგრაფი: დრაგოს ბუჰაგიარი  
ქორეოგრაფი: ატილა ბორდასი  
მუსიკალური გაფორმება შონ დევის  
ფოტოგრაფები: მიჰაელა მარინი, მარია  
სტეფანესკუ, სებასტიან მარკოვიჩი

მონაწილეობენ:  
ვერონიკა არიზანკუ, დიანა ფუფეზანი, რალუკა  
იანი, ტომოჰიკო კოგი, ალექსანდრუ მალაიკუ,  
ადრიან მათიოკი, სერენელა მარესანი, ადრიან  
ნეაჟსუ, ედუარდ პატრასკუ, კატალინ პატრუ,  
ოფელია პოპი, კრისტინა რაგოსი, ნატალიე  
სიგი, კიპრიან სკურტეა, კრისტინა სტანსა, პალი  
ვეცსეი, კორინა ვისინესკუ  
ბავშვი: ალექსანდრუ ნიკოლარა  
ორგანზე უკრავს: თეოდორა სირკიუმარუ

Directed by Silviu Purcărete  
Composer Shaun Davey  
Scenography Dragoș Buhagiar  
Choreographer Attila Bordaș  
Music Adapted by Shaun Davey  
Photographers Mihaela Marin, Maria  
Ștefănescu, Sebastian Marcovici

Cast:  
Veronica Arizancu, Diana Fufezan, Raluca  
Iani, Tomohiko Kogi, Alexandru Malaicu, Adrian  
Matioc, Serenela Mureșan, Adrian Neacșu,  
Eduard Pătrașcu, Cătălin Pătru, Ofelia Popii,  
Cristina Ragos, Natalie Sigg, Ciprian Scurtea,  
Cristian Stanca, Pali Vecsei, Corina Vișinescu  
Child: Alexandru Nicoară  
Organist: Teodora Cîrciumaru



### წარმოდგენის შესახებ:

რეჟისორ სილვიუ პურკარეტეს პერფორმანსული მედიტაცია ჯონათან სვიფტის ნაწარმოების სრულიად ახლებური გაზრებაა. აქ ფანტასტიკა პოლიტიკურ სატირას ერწყმის. პერსონაჟები შონ დავის ორიგინალური მუსიკის ფონზე (შონ დავი „მხიარული სასაფლაოს ხმების“ ავტორი გახლავთ) წარმოადგენენ მოგზაურობის, გაქცევის, გადასახლების, ემიგრაციის, სიმარტოვისა და ერთად ყოფნის თემას... სპექტაკლს თავად სვიფტი იწყებს. იგი სიცოცხლის უკანასკნელ წლებს თავშესაფარში ატარებს, გონებრივად უკვე დეგრადირებული, ფიზიკურად დასუსტებული. ისმის სილვიუ პურკარეტეს ხმა, რომელიც „გულივერის მოგზაურობის“ მეოთხენიგნიდანამონარიდს კითხულობს. ის

ჰუიჰნჰემების ქვეყნიდან ბრუნდება - სცენაზე ცხენის ფორმაში გადაცმული ქალბატონები მოძრაობენ, გაივლის ნამდვილი ცხენი - გმირი მხოლოდ ზიზღს გრძნობს ადამიანის მსგავსი იაჰუს შთამომავლების მიმართ. ყველაფერი რაც აქ ხდება, მისი სიზმრის ნაწილია ან ნამდვილი კოშმარი. ბავში უცოდველობის სიმბოლოა, ის ცხენის ფორმის ველოსიპედზე მის და იაჰუს შთამომავლების საშინელ ყოფას უყურებს. გროტესკული პერსონაჟები საკუთარ შვილებს მზარეულებს საჭმლის მოსამზადებლად აძლევენ, ეს იდეა მოდის სვიფტის ესეიდან „მოკრძალებული მოსაზრება, როგორ ავარიდოთ ირლანდიის ღარიბ ოჯახებს ტვირთი \_ შვილები“. რობოტებივით მომუშავე ვაცების მთელი რიგი შეწყნარებას ითხოვს უცოდველი

არსებებისგან - ბავშვებისგან, რომლებიც ჯონათან სვიფტის ნაშრომებში ღმერთის სიმბოლოს წარმოადგენენ. სასტიკ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში მთავრდება მათი ცხოვრება.

### პრესა:

„ბნელი, უცნაური და ფანტასტიკური. . .“

The Times

„შთამბეჭდავი სანახაობა.“

Financial Times

„სრულყოფილი სპექტაკლია“

Sunday Herald



## About performance:

The series of performative meditations coordinated by the director Silviu Purcărete, proposes a unique and novel approach of Jonathan Swift's work, where fantasy blends with a savage political satire. A number of images presented to the public with an original score by Shaun Davey, composer of the musical suite „Voices from the Merry Cemetery”, explore themes of voyage, dream exile, immigration, emigration, solitude and togetherness. The performance opens with Swift himself, in his last years of life living in an asylum, victim of a continuous degradation of the body and mind, while we can hear the voice of the director, Silviu Purcarete reading a passage from the Fourth Book of „The Gulliver's Travels”. He returns home after his voyage in the land of the Houyhnhms – represented on stage by women dressed in horses and by a live horse crossing the stage – the hero feeling only disgust towards his family that remind him of the repellent humanoid yahoos. The events that succeed are part of his dream or nightmare. A child – symbol of innocence - that rides a wooden bicycle in the shape of a horse will be the witness of the yahoo's horrors. Grotesque characters with swollen abdomens offer their children to a cook to be butchered – idea taken from Swift's essay „A Modest Proposal for Preventing the Children of Poor People in Ireland from Being Burden to their Parents”, a row of robotic office men that ask for indulgence from the innocent – the child, present in Jonathan's Swifts writings as the image of God – and finish in a ferocious life and death battle.

### Press:

'Dark, strange and fantastical/ Ontunecat, straniu și minunat '

The Times

'Spectacularly realised/ realizat spectacular'

Financial Times

'An exquisite spectacle/ un spectacol rafinat'  
Sunday Herald





winiveria





[www.geckotheatre.com](http://www.geckotheatre.com)

# Gecko

კომპანია Gecko, დიდი ბრიტანეთი  
Gecko Company, UK

## დაკარგული Missing

# 27-28/09/2013

ადგილი: ვოტე მარჯანიშვილის  
სახელობის სახელმწიფო დრამატული  
თეატრი (დიდი სცენა)  
დასაწყისი: 20:00 საათზე  
ხანგრძლივობა: 75 წუთი  
(ერთ მოქმედებად)  
ფასი: 35, 20, 15 ლარი

Venue: Kote Marjanishvili State Drama  
Theatre (Big Stage)  
Beginning at: 20:00  
Duration: 75 minutes (without intermission)  
Ticket Price: 35; 20; 15 GEL

რეჟისორი: ამით ლაჰავი  
კომპოზიტორი: დევი ფრინსი  
მხატვრები: რის ჯარმანი და ამით ლაჰავი  
მხატვარ-გამნათებლები: კრის სვაინი და  
ამით ლაჰავი  
ქორეოგრაფი: ამით ლაჰავი  
ხმის რეჟისორები: დევი ფრინსი და ენზო  
აპეტეჩია  
ფოტოგრაფები: რიჩარდ ჰოგტონი,  
რობერტ გოლდენი

მონაწილეობენ: ამით ლაჰავი, ანა  
ფინკელი, კრისტოფერ ევანსი, ჯორჯიანა  
რობერტსი, რიენ პერკინს-განგნესი

Directed by Amit Lahav  
Created by Amit Lahav  
Composer Dave Price  
Design by Rhys Jarman & Amit Lahav  
Lighting by Chris Swain & Amit Lahav  
Choreographer Amit Lahav  
Sound by Dave Price and Enzo  
Appetecchia  
Photographers: Richard Haughton, Robert  
Golden

Cast:  
Amit Lahav, Anna Finkel, Christopher  
Evans, Georgina Roberts as Lily, Ryen  
Perkins-Gangnes



## კომპანია Gecko, დიდი ბრიტანეთი

### თეატრის შესახებ:

არაერთი ჯილდოს მფლობელი Gecko ფიზიკური ცეკვის თეატრალური დასია. იგი 2001 წელს დაარსდა დიდ ბრიტანეთში. 2001 წლიდან დღემდე კომპანიამ შექმნა 6 წარმოდგენა, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად სამშობლოსა და არაერთ საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე ევროპასა თუ აზიაში. Gecko-ს სპექტაკლები 50 000 მაყურებელზე მეტმა იხილა. „ჩვენი მიზანია შთავაგონოთ,

გავართოთ და დავაფიქროთ მაყურებელი“ Gecko-ს სპექტაკლები ერთნაირად საინტერესოა სხვადასხვა ასაკისა და ეროვნების მაყურებლისათვის.

### წარმოდგენის შესახებ:

თუკი გადახედავთ ცხოვრებას და შეხედავთ თვალებში სიმართლეს, დაინახავთ კი რამდენად აფერადებდით სინამდვილეს? დაინახავთ კი იმას, თუ რამდენი მნიშვნელოვანი დეტალი გამოტოვებთ? რამდენი რამის დავიწყება გინდოდათ? რა შემოინახეთ მესხი-

რებაში და რატომ? მართლაც, რეალურად რა გსურთ, რომ გახსოვდეთ?

რა თქმა უნდა, ყველას განსხვავებული პასუხები აქვს ამ კითხვებზე, რადგან ყველა განსხვავებულია.

„დაკარგულში“ ჩვენ ლილის მესხიერებას მივყვებით; მივყვებით იმ ამბავს, თუ თუ როგორ ქმნის მისი წარსული მის მომავალს, იმის მიუხედავად ლილი აცნობიერებს ამას თუ არა....

კრიტიკოსების მიერ აღიარებული ფიზიკური თეატრის საცეკვაო დასი Gecko (მოსასხამი) წარმოგიდგენთ საინტერესოდ ჩახლართულ მოგზაურობას ადამიანის



ფსიქიკის სიღრმეებში.  
ჩაეშვით Gecko-ს მომაჯადოებელ  
სამყაროში, რომელიც ნატიფი  
მოძრაობებითა და ექსტრაორდინალური  
ვიზუალური ფორმით მოგიტხრობთ  
სანტერესო ამბავს. ლილი თავის  
წარსულთან ბრძოლითაა დაკავებული.  
მისი მომავალი იმაზეა დამოკიდებული,  
თუ რამდენად მოისურვებს იგი გაიხსნოს  
ყველაფერი.

**პრესა:**

„დაუმთავრებელ ჰალუცინაციურ ბოდვას  
ჰგავს, გაუღენთილია პოეტური ხერხებით.“  
The Guardian, დიდი ბრიტანეთი

„ვიზუალური ილუზიების ცოცხალი,  
დალიანდაგებული მოსასხამი...  
ადმაფრენა და დიდი სევდა მოაქვს.“  
The Stage, დიდი ბრიტანეთი





## Gecko, UK

Gecko is an award-winning physical dance theatre company based in the UK. The company was established in 2001 and has since created six internationally acclaimed shows which have toured across the world to over 50,000 spectators. Our goal is to inspire, move and entertain our audiences. Working across all age groups, nationalities and forms, Gecko celebrates diversity.

### About performance:

Critically acclaimed physical dance theatre company Gecko (The Overcoat) present a deliciously warped journey into the depths

of the human psyche.

IF you look back over your life so far, if you are really honest with yourself, how much do you romanticise the truth in your head? How many details do you overlook? How much have you chosen to forget? Which things stay clearest in your memory and why? How much are you really willing to remember? We would love to know your thoughts on this, leave a comment below and let us know what this means to you.

Everyone will probably have a different answer to these questions, because everyone is different. In MISSING we track the memories of Lily and how her past is shaping her future without her realising Plunge

into an intoxicating Gecko world of exquisite movement and extraordinary visual storytelling. Lily is on a collision course with her past. Her future depends on how much she is willing to remember...

### Press:

'A kind of restless delirium, dense with poetic effect.' \*\*\*\* (The Guardian, UK)

'A living, breathing patchwork quilt of visual illusions ... both wonderfully uplifting and desperately sad.' (The Stage, UK)



RUSTAVI 2



ერევნის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრი, სომხეთი  
Yerevan State Youth Theatre, ARMENIA

# მარსელი Marcel

# 29/09/2013

ადგილი: ვოტე მარჯანიშვილის  
სახელობის სახელმწიფო დრამატული  
თეატრი (მცირე სცენა)  
დასაწყისი: 20:00 საათზე  
ხანგრძლივობა: 65 წუთი  
(ერთ მოქმედებად)  
ფასი: 20 ლარი

Venue: Kote Marjanishvili State Drama  
Theatre (Small Stage)  
Beginning at: 20:00  
Duration: 65 minutes  
(without intermission)  
Ticket Price: 20 GEL

იდეის ავტორი, რეჟისორი და  
სცენოგრაფი - ავოტ ვაზანიანი  
სასცენო მოძრაობა არინა არარატიანის  
ვოკალისტი - არმანუშ ავოტიანი  
მონაწილეობს: მარიამ ვაზანიანი

Scenography, Directed by Hakob  
Ghazanchyan  
Choreographer Arina Araratyan  
Edith Piaf Songs are used in the  
performance  
Photographer Zaven Khachikyan  
Cast: Mariam Ghazanchyan



## ერევნის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრი, სომხეთი

### თეატრის შესახებ:

მოზარდ მაყურებელთა თეატრი ტიგრან შამირხანიანმა დაარსა. იგი 1929 წლის 29 ნოემბერს გაიხსნა ოფიცერთა სახლის შენობაში სპექტაკლით „აფეთქება“. დაარსების პირველ წლებში თეატრი აყალიბებდა თავის კონცეფციას, ქმნიდა დასს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სრულიად შეიცვალა თეატრის რეპერტუარი და დასს შეემატა ბევრი ახალგაზრდა ნიჭიერი მსახიობი. პატრიოტული სპექტაკლები ძირითადად ომის თემას ეძღვნებოდა.

50-იანი წლები მეტად მნიშვნელოვანი იყო თეატრისთვის. ამ დროს სამხატვრო

ხელმძღვანელი გახდა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი რაჩია კაპლანიანი. მისმა სპექტაკლებმა დიდი აღიარება მოუტანა სომხურ თეატრს.

მე-20 საუკუნის 70-იანი წლები ახალი აღმავლობის ხანა იყო თეატრისთვის.

1980 წელს პომპეზურად აღინიშნა 50 წლის იუბილე და სახელმწიფო თეატრის სტატუსი მიენიჭა.

თეატრის შემდგომი შემოქმედებითი წინსვლა დაკავშირებულია პროფესორ ერვანდ კაზანიანის სახელთან. იგი გახლდათ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე და სახელმწიფო პრემიის ლაურეტი. ერვან კაზანიანი თეატრს ათი წელი ხელმძღვანელობდა.

1977 წლიდან თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია აკოფ კაზანიანი. ამ პერიოდში დაიდგა არაერთი შესანიშნავი სპექტაკლი. თეატრს წარმატებული გასტროლები ჰქონდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, ესენია: საქართველო, პოლონეთი, უკრაინა, ბულგარეთი, გერმანია, რუსეთი, კვიპროსი, ირანი, მაკედონია, მოლდავეთი და ა. შ.

### წარმოდგენის შესახებ:

სპექტაკლი უდიდესი ფრანგი მომღერლის ედიტ ჰიაფის განცდებზე, სულიერ ტკივილზე მოგვითხრობს, რომელიც მას მარსელ სედანის ტრაგიკული გარდაცვალების შემდეგ დაეუფლა. სედანი ჰიაფისთვის ცხოვრების ბოლომდე ჭეშმარიტი სიყვარულის განსახიერება იყო. მარსელის გარდაცვალების შემდეგ მომღერალი ქალისთვის იმქვეყნიური სამყარო რეალობად იქცა. იმისათვის, რომ დაებრუნებინა ბედნიერი წუთები, კვლავ „შეხებოდა“ უდიდეს სიყვარულს, იგი მთლიანად ჩაეფლო სპირიტუალის იდუმალ სეანსებში. როცა ლოცულობს ეჩვენება, რომ მარსელს ესაუბრება. სპექტაკლში ლოცვა ჰიაფის სიმღერაა, რომელსაც მსახიობი მარიამ კაზანიანი დრამატული თამაშით ასრულებს (სრულდება ჰიაფის 12 სიმღერა). ამის შემდეგ მარსელი მის ყოველ სიმღერაში იცოცხლებს.

სპექტაკლში განსხვავებული ინტერპრეტაციით უღერს ერთადერთი

სიტყვა - მარსელი.

### პრესა:

თქვენ ტირით, მილორდ

პრემიერა ფომენკოს თეატრის სცენაზე ერევნის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრმა „პერტე ფომენკოს სახელოსნოს“ სცენაზე ისეთი პრემიერა შესთავაზა მრავლისმნახველ მოსკოვის პუბლიკას, რომ მაყურებელი გაოგნებული შეჰყურებდა წარმოდგენას. აქ უსიტყვოდ, მაგრამ სრულად და ხატოვნადაა მოთხრობილი ედიტ ჰიაფის ცხოვრების ტრაგედია. ეს არის თეატრი ფართო გაგებით. მოქმედება მწირია, ხელის ოდნავი მოძრაობა, თავის მობრუნება, სახეზე ხან გამოჩნდება, ხანაც ქრება ღიმილი.

მარიამ კაზანიანი მოსკოვში რომ ცხოვრობდეს, ყველაზე პრესტიჟულ თეატრებში შესთავაზებდნენ როლებს...



## Yerevan State Youth Theatre

In the 29th November of 1929 , with the play of “ Explosion” by Smirnov ,the curtains of the Yerevan State Youth Theatre were first opened. Thanks to the efforts of the founder of the theatre – T. Shamirkhanyan , the best traditions of the new theatre began to give their roots.

The first 10 years were the years of creative search and exploration for the theatre. These were years of the repertoire forming and the start of the creative staff.

There were created a number of interesting performances ,such as “ Anka” ,” The brave Nazar” ,”Giqor”. The last two performances were presented in 1940 in Moscow and met a warm acceptance of the theatre audience.

The second decade of the theatre is closely connected with the Great Patriotic War and years of postwar. The repertoire was changed during those years as the majority of the actors went to fight in the front. Many of them never returned. It has been many years, but the plays of those days are not forgotten – such plays are “The connection” ,” Behind” ,” Khachatur Abovyan” – how many young hearts were touched from those plays...

The 1950s was the period of creative updates for the theatre. The graduates of the Theatrical Institution were included in the staff of the theatre- E. Elbakyan, N. Dallakyan, M. Tamrazyan, Z. Ter-Karapetyan and others. In 1958 , already for the second time in Moscow, the theatre played the performances “Orchestra” by M. Shatiryan and “The golden town” by G. Yaghdjyan. The success was evident. 19 participants of the creative team became the winners of the festival.

In that period the new developments and achievements of the theatre are closely connected with the name of the national artist of USSR – G. Khaplanyan. He began his work of the director in this theatre, and he had been the chief artistic director of the theatre.

In 1961 and in 1968 in the Caucasian





children's festival in Yerevan and Baku, the plays "The adventures of Sur and Sam", "The night miracle", "My dear child" and "The romantics" brought new success to the theatre.

The theatre solemnly celebrated its 50th anniversary in 1980. The Yerevan State Youth Theatre was awarded the highest state award for its great contributions. The further success of the theatre is connected with the names of the new aesthetic directors and Armenian national artists – Z. Tatentsyan and Y. Ghazanchyan.

Since 1997, the artistic director of The Yerevan State Youth Theatre is Hakob Ghazanchyan. His success has been recorded in the history of the theatre. Participation in festivals and numerous trips to different countries – such as

Georgia, Poland, Ukraine, Bulgaria, Germany, Russia, England, Cyprus, Iran, Macedonia, Moldova, Korea, Serbia has brought an international fame to the theatre.

#### About Performance:

The staging presents the bitter pain and sorrows of the legendary, French singer – Edith Piaf. The singer is suffering from the tragic death of her loved one – Marcel Cerdan, who till the end of his life, had a great, deep and unsurpassed love for her. After his death she found an undeniable reality in the world of the dead, and in order to bring those divine memories back and to find that connection with love once more, she wholly gives herself to the secret sessions of spiritualism.

When she was praying, it seemed to her that she's talking to Marcel. In this performance, those prayers are her songs, which Mariam Ghazanchyan performs in the mode of dramatic games /there are 12 songs performed/. From then on, Marcel is going to live in her every song. In the performance, from various interpretations, only one phrase is pronounced- Marcel.



#### Press:

You cry, my lord.

("Moscow Komsomol") 2011

The premiere on the stage of Fomenko "The premiere of the Yerevan State Youth Theatre on the stage of the „Pyotr Fomenko Workshop“ is that very case, when something special is showed to the sophisticated Moscow public, that leaves the audience with their mouth open. The story of the terrible tragedy in the life of Edith Piaf is told without any word uttered- it's full and bright..."

The performance attracts the audience with the minimum action – slow hand movements, head rotations, attenuations and the appearance of smile.

If Mariam Ghazanchyan lived in Moscow, she'd get her roles in the most prestigious theatres here. She dealt with one of the hardest tasks. And she succeed.



Be Informed...  
Do Business...

თბილისის საერთაშორისო  
თეატრალური ფესტივალი  
წარმოგიგდნთ ფესტივალის  
ახალ მედია პარტნიორს - გაზეთი  
Caucasian Business Week .

ყოველ ორშაბათს, გაზეთის ყოველ  
ნომერში - ამბები ფესტივალის  
შესახებ! თეატრალური ფესტივალის  
დეტალური ინფორმაცია და  
ისტორიები.

ჩვენი მეგობრებისა და  
პარტნიორების რიცხვი იზრდება!  
დიდი მადლობა მხარდაჭერისათვის!

The Leading  
English-language  
Weekly Covering  
Business and  
Economic Issues

**BUSINESS WEEK** caucasian

Mobile phone: 591 013936; 555 472234; Email: caucasianbusiness@gmail.com

# 1/10/2013

ადგილი: კოტე მარჯანიშვილის  
სახელობის სახელმწიფო დრამატული  
თეატრი (ახალი სცენა)  
დასაწყისი: 20:00 საათზე  
ხანგრძლივობა: 75 წუთი (ერთ  
მოქმედებად)  
ფასი: 20 ლარი

Venue: Kote Marjanishvili State Drama  
Theatre (New Stage)  
Beginning at: 20:00  
Duration: 75 minutes (without intermission)  
Ticket Price: 20 GEL

რეჟისორი: ლევან წულაძე  
მუსიკალური გაფორმება მარიო  
კასტელნუოვო ტედესკოსი  
ადაპტირებული ვერსიის ავტორი და  
მოხრობელი: მაიკ მარანი  
თოჯინები ნინო ნამიჭეიშვილის

მთავარ როლში: კრეიგ ოგდენი

Directed by Levan Tsuladze  
Music by Mario Castelnuovo Tedesco  
Performed by Craig Ogden  
Adapted and told by Mike Maran  
With puppets by Nino Namitcheishvili

Performed by Craig Ogden

მაიკ მარანი და მარჯანიშვილის თეატრი, თბილისი,  
ნორვიჩის თოჯინების თეატრი, მერკურის თეატრი ქოლჩესტერი და  
NFA საერთაშორისო ხელოვნება და კულტურა

Mike Maran Productions and Marjanishvili Theatre, Tbilisi, in associa-  
tion with Norwich Puppet Theatre, Mercury Theatre Colchester and  
NFA International Arts & Culture

ხუან რამონ ხიმენესის პიესის „პლატერო და მე“ - ს მიხედვით  
მუსიკა, ამბავი და პოეზია ზრდასრული მაყურებლისთვის

## პლატერო, მოგზაურობა ვირით

Based on Platero y Yo by Juan Ramón Jiménez  
**Platero. Travels with a donkey**



## წარმოდგენის შესახებ:

ეს არის მუსიკალური მოგზაურობა მკვირცხლი ვირით პატარა ესპანურ ქალაქში. მზიან სამხრეთ ესპანეთში თავის განუყრელ კომპანიონთან, ვერცხლისფერ ვირთან პლატეროსთან ერთად ერთი წელი ცხოვრობდა პოეტი.

მეოცე საუკუნის დასაწყისში ესპანეთის ყველაზე საყვარელი მწერალი, ნობელის პრემიის მფლობელი ხუან რამონ ხიმენესი ცხოვრობდა მოგუერში, სევილიის მახლობლად, თეთრად შეფერილ პატარა ქალაქში, რომელიც ზვრებსა და ბრონეულის მდელოებს გადაჰყურებს. ყველასათვის საყვარელი მოთხრობების კრებული გვიხატავს მისი მშობლიური მხარის ულამაზეს სურათს, სადაც თქვენ, მარადიული ანდალუზიის პეიზაჟების ფონზე, შეხვდებით საინტერესო პერსონაჟებს და გაითავისებთ მათი ცხოვრების თავისებურებებს.

მაიკ მარანმა ცნობილ ქართველ რეჟისორ ლევან წულაძესთან და მარიონეტების ოსტატ ნინო ნამიჭეიშვილთან ერთად შექმნა ამ შესანიშნავი მოთხრობების ულამაზესი ინტერპრეტაცია, რომელსაც თან ახლავს კრეიგ ოგდენის სპეციალურად ამ წარმოდგენისთვის შექმნილი გიტარის პანგები.

## პრესა:

„ნამდვილად მომაჯადოებელია პატარა პლატერო“ The Scotsman \*\*\*\*

„ნამდვილი ზეიმია ამ წარმოდგენის ნახვა... ყველაზე უკეთ მოგვიტოხრეს ამბავი“ The Scotsman \*\*\*\*

„გრძნობების ნამდვილი დღესასწაული. . .“ Broadway Baby\*\*\*\*

„გ ა მ ა ო გ ნ ე ბ ე ლ ი ა . . . თ ი თ ო ე უ ლ დეტალზე ძალიან დიდი ყურადღებაა გამახვილებული.“ Fringe Guru\*\*\*\*



## About Performance:

A musical ride on a mercurial donkey deep into the soul of a small Spanish town Spend a year in the sunshine of Southern Spain with a poet and his constant companion, a little silver donkey called Platero. Spain's best loved writer, the Nobel Prize winning Juan Ramon Jimenez, lived in Moguer, a small whitewashed town near Seville overlooking fields of vines and pomegranates, at the beginning of the twentieth century. His best loved collection of stories paints an affectionate picture of his hometown where you meet the characters and experience the gentle pattern of their lives in the timeless Andalusian landscape.


Mike Maran teams up with internationally renowned Georgian director Levan Tsuladze and puppeteer Nino Namitcheishvili to create a beautiful adaptation of these delightful stories which are accompanied by a classical guitar score especially recorded for this production by Craig Ogden.

## Press:

'A truly magical little Platero' The Scotsman \*\*\*\*

'A joy to watch... this is storytelling at it's finest' The Stage\*\*\*\*

'A feast for the senses' Broadway Baby\*\*\*\*  
'Stunning... incredible attention to detail' Fringe Guru\*\*\*\*





თეატრალური ფესტივალის დაარსების დღიდან, კომპანია „სარაჯიშვილი“ მისი პარტნიორია. ორგანიზატორებთან პირველივე შეხვედრისას გადავწყვიტეთ, რომ ეს ფესტივალი აუცილებლად იქნებოდა იმ რანგის, რომელთან თანამშრომლობაც კომპანია „სარაჯიშვილი“-ს ეკადრებოდა ჩვენმა ინტუიციამ გაამართლა, შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა... ფესტივალმა მისი მაღალი ხარისხით და პროფესიონალიზმით. საზოგადოება გააოცა ... სწორედ ამან განაპირობა, ჩვენი შემდგომი მრავალწლიანი პარტნიორობა და მეგობრობა გვიყვარხართ, ვისურვებთ დიღხანს არსებობას, ბევრ წარმატებას და გპირდებით, რომ ჩვენ მუდამ თქვენს გვერდით ვიქნებით!!



**Bohema**  
GRILL & WINE

**MANDARI**  
georgian fusion

**LOFT**  
new american

**VONG**  
asian fusion

**BUFFET** 'SAKURABA 桜 ბოსტან'



Add.: 15, Apakidze Str., 0177 Tbilisi, Georgia  
Tel.: +995 322 20 20 80 | E-Mail: info@mclab.ge

**f** MClab.ge



[www.pippodelbono.it](http://www.pippodelbono.it)  
[www.emiliaromagnateatro.com](http://www.emiliaromagnateatro.com)



EMILIA ROMAGNA TEATRO FONDAZIONE  
TEATRO STABILE PUBBLICO REGIONALE

ემილია რომანას თეატრი, პიპო დელბონოს დასი, იტალია  
EMILIA ROMAGNA TEATRO – Compagnia Delbono, ITALY

# ბრძოლის შემდეგ After the Battle



## 3-4/10/2013

ადგილი: ვოტე მარჯანიშვილის  
სახელობის სახელმწიფო დრამატული  
თეატრი (დიდი სცენა)  
დასაწყისი: 20:00 საათზე  
ხანგრძლივობა: 110 ნუთი  
(ერთ მოქმედებად)  
ფასი: 55, 40, 25, 15 ლარი

Venue: Kote Marjanishvili State Drama  
Theatre (New Stage)  
Beginning at: 20:00  
Duration: 110 minutes  
(without intermission)  
Ticket Price: 55; 40; 25; 15 GEL

რეჟისორი: პიპო დელბონო  
კომპოზიტორი: ალექსანდერ ბალანესკუ და  
სხვა არტისტები  
სცენოგრაფი: ვლაუდე სანტერე  
კოსტიუმების მხატვარი: ანტონელა ვანარობი  
განათების რეჟისორი: რობერტ ჯონ რესტეგინი  
პიესაში გამოყენებულია დანტე ალიგიერის,  
ანტონინ არტაუდის, ფრანს ვაფკას, ალფხანდრა  
პიზარნიკის, რეინერ მარია რილკეს, უოლტ  
უიტმენის ნაწარმოებები

Directed by Pippo Delbono  
Composer Alexander Balanescu and various artists  
Scenography Claude Santerre – Costumes:  
Antonella Cannarozzi – Light designer: Robert  
John Resteghini  
Texts by Pippo Delbono translated and elaborated  
from: Dante Alighieri, Antonin Artaud, Franz Kafka,  
Alejandra Pizarnik, Reiner Maria Rilke, Walt  
Whitman.  
Cast:  
Dolly Albertin, Gianluca Ballarè, Bobò, Chris  
Clad, Pippo Delbono, Ilaria Distante, Simone  
Goggiano, Mario Intruglio, Nelson Lariccia, Marigia  
Maggipinto, Julia Morawietz, Gianni Parenti, Pepe  
Robledo, Grazia Spinella

production: Emilia Romagna Teatro Fondazione,  
Teatro di Roma, Théâtre du Rond Point- Paris,  
Théâtre de la Place – Liège, Théâtre National de  
Bretagne - Rennes thanks to : Teatro Pubblico  
Pugliese et Cinémathèque Suisse



ემილია რომანას თეატრი, დელბონოს დასი, იტალია

### თეატრის შესახებ:

ემილია რომანას თეატრი უპირველეს ყოვლისა თეატრალური წარმოდგენების ცენტრია. იგი 1977 წელს დაარსდა და მის მიერ შექმნილ წარმოდგენათა რიცხვი ას ოცს აღემატება. თეატრი ორი მიმართულებით მუშაობს: თანამშრომლობს რეჟისორებთან და ეძებს სპექტაკლებს და სივრცეებს, რომელიც შესაძლოა ტრადიციული თეატრალური დარბაზების ალტერნატივა გახდეს; თეატრი მუდმივად მუშაობს სხვადასხვა გემოვნებისა და მოთხოვნილების მაყულებელთან. ერთი მხრივ, ემილია რომანას თეატრისთვის მაყურებელი აქტიური სუბიექტია, რომელსაც უნდა მოემსახუროს, გაანებივროს

საუკეთესო წარმოდგენებით, მეორე მხრივ კი, მიიჩნევს მობილურ სუბიექტად, რომელსაც თეატრი სტიმულს უნდა აძლევდეს. უკანასკნელი წლებში მოდენას თეატრალური სემონები მდიდარია როგორც კლასიკური ასევე თანამედროვე თეატრალური წარმოდგენებით. სამსახიობო ოსტატობასა და რეჟისურის ხარისხს დიდი ყურადღება ექცევა, ისევე ყურადღებით ირჩევენ პიესებს სხვადასხვა ქვეყნის თეატრალური კულტურის მემკვიდრეობიდან. ბოლო წლებში ემილია რომანას თეატრი მიწვეული იყო ამსტერდამის, ავინიონის, ბარსელონას, ბერლინის, ბრიუსელის, კარაკასის, ლეუვენის, მადრიდის, მონრეალის, მოსკოვის, პორტო ალევრეს, სან პაულოსა და ციურხის ფესტივალებზე. საერთაშორისო არენაზე ურთიერთობის კუთხით მნიშვნელოვანი იყო

„Le vie dei festival“ (ფესტივალების გამამკვლევი). ეს თეატრალური შეხვედრა შემოდგომით იმართება და იტალიისა და საერთაშორისო ფესტივალების ყველაზე საინტერესო სპექტაკლებია წარმოდგენილი. იმართება პრემიერები ქვეყნის მაშტაბით, იდგმება წარმოდგენები სხვადასხვა ენაზე, მნიშვნელოვანია აგრეთვე უცხოური თეატრალური გამოცდილება, სადაც იტალიურ ექსპერიმენტულ თეატრს საპატიო ადგილი უკავია. ბოლო პერიოდში მონვეულ სტუმართა შორის იყვნენ: კარმელო ბენე, პიტერ ბრუკი, ჯომეფ ჩაიკინი, ლევ დოდინი, ჟან ფაბრე, როდრიგო გარსია, ფილიპ გლასი, მაგუაი მარინი, მათილდე მონიერი, ალან პლატელი, მეგ სტუარტი, ბო ვილსონი.

### წარმოდგენის შესახებ:

ამ ნაცრისფერ გარემოში, სადაც ჩემს ახალ წაწარმოებს ვქმნი, თვალწინ მიდგას პატიმრობა, ციხე, იზოლირება. ამავე დროს ვხედავ მენტალურ სივრცეს, დაბინდულ გონებას, არა გაქვს უნდარი მოიპოვო თავისუფლება. სამუდამოდ გამოკეტილი სხეულისა და სულის შიზოფრენაა; ადამიანი ემორჩილება მმართველებს, მეფეებს, ღმერთს და ეს უტყვი მორჩილება დღითი დღე აზროვნების უნარს უკარგავს, ასუსტებს. შიზოფრენია, ყალბ სიხარულთან და რეალურ ტკივილთან ერთად ადამიანს შუაზე ხლეჩს. პასუხისმგებლობა, იმ მოვლენათა მიმართ, რომლებსაც მსხვერპლად ვწინრებით, მუდმივად გვანუხებს. თითქმის რელიგიური, ფანატიკური დანაშაულის შეგრძნებაც მუდმივია. ერთი მხრივ, სხვა ადამიანების შიში, მეორე მხრივ, მათი მიღების სურვილი, მარადიული შიზოფრენიაა.



შიზოფრენიაა ჭეშმარიტების ძიებასა და სიცრუეს შორის.

მე ვეძებ ავადმყოფურ ფიქრებს, ბნელ, დახშულ, მგუდავ ფიქრებს ჩემს გონებაში და ჩემი გონების მიღმა - სხვების აზრებში. თუმცა ზოგჯერ ამ ნაცრისფერ, მჩაგვრელ, კლასტროფობიურ სივრცეშიც გამოანათებს სინათლის სხივი.

Dopo La Battaglia ალბათ შეიქმნა იმ აუცილებლობით - რასაც გაქცევა, დაბრუნება, ღმუილი, ტირილი, სიცხილი ჰქვია. აუცილებელია ბავშვივით თამაში, მერე ერთმანეთის დაკარგვა ისევ და ისევ იმისათვის, რომ ერთგვარი ცენტრი ვიპოვოთ, რათა კვლავ დავიბრუნოთ ამბოხებული სული, რწმენა, საღი გონება და კვლავ სიყვარულზე ლაპარაკის უნარი ჩვენი სხეულით, ბგერებით და ცეკვით.“

ამონარიდი. Dopo La Battaglia- პოეტური/პოლიტიკური მწერლობა, პიპო დელბონო, Barbes, 2011

## პრესა:

გამახელველი და ნაზი, დამაბნეველი, ოცნებით სავსე...

დელბონო: გარიყულების რექვიემი L'Unità

ბრძოლას უნდა მოჰყვეს გამარჯვება ან დამარცხება და შემდეგ მშვიდობამ უნდა დაისადგუროს. ახალ პოეტურ, ირონიულ, შესანიშნავ თეატრალურ წარმოდგენაში, რომლის რეჟისორიც გახლავთ პიპო დელბონო, ეს არ არის მთავარი.

მშვიდობა მიიღწევა მხოლოდ მტანჯველი გზის დასასრულს, სადაც ღირსეული ცხოვრებისთვის ბრძოლა მხოლოდ და მხოლოდ სავალი გზის დასაწყისია.

## EMILIA ROMAGNA TEATRO – Compagnia Delbono, ITALY

ERT, based in 1977 is first of all a theatrical production centre. With more than 120 shows produced, ERT works in two basic directions: collaborations with directors, and search for shows and spaces that might be alternative to the traditional Italian theatre halls, meeting a new, complex and varied public. ERT considers its public on the one hand as an active subject to which it provides an essential service bringing in town the best new productions in the national scene, but on the other as a mobile subject to which it delivers different stimulus in order to elude habits. Recent theatrical seasons in Modena have included different kinds of productions, from ancient to contemporary theatre, without ever abandoning the search for quality given by the importance of performers and directors and by the choice of titles that range over many theatrical heritages from different cultures. In recent years Ert productions were invited at Festival of Amsterdam, Avignon, Barcelona, Berlin, Bruxelles, Caracas, Leuven, Madrid, Montreal, Moscow, Porto Alegre, San Paulo, Zurich.

An important moment of interchange with the international scene was given by “Le vie dei festival” (Routes of festivals), the autumn theatrical meeting that takes in the most interesting productions of Italian and foreign summer festivals. National debuts are very often given here, mixing languages and theatre genders, showing foreign great theatrical experiences without forgetting the important Italian experimental theatre scene. Among the numerous guests in past editions, we would like





by Pippo Delbono, ed. Barbes, 2011

**Press:**

Furious and tender, disorienting and visionary...

DELBONO: A REQUIEM FOR THE REJECTED

L'Unità

After a battle there should be victory, or defeat, and then peace. In the new, poetic, ironic, wonderful theatre production directed by Pippo Delbono, this is not the case.

Peace can be reached only at the end of a long tormented path, in which the struggle for life's dignity is only the starting point.

La Repubblica

to remember at least Carmelo Bene, Peter Brook, Joseph Chaikin, Lev Dodin, Jan Fabre, Rodrigo Garcia, Philip Glass, Maguy Marin, Mathilde Monnier, Alain Platel, Meg Stuart, Bob Wilson.

**About Performance:**

In this grey space where I'm creating my new play I see a place of physical detention, prison, isolation, and at the same time a mental space, a shutting of the mind, the inability to find freedom or clarity. Evermore imprisoned in the schizophrenia of body and soul; torn between an idea of rulers, of kings, of a God imposing his presence, and an idea of man condemned to submit and lower himself everyday a little more. A schizophrenia tearing man apart, between displays of false joy and the real pain underneath; between the unavoidable responsibility that we feel towards the events that we suffer as victims, and a religious,

fanatical, castrating feeling of guilt. A constant schizophrenia, with the fear of others on one side and the need to welcome and accept them on the other. A schizophrenia between our need for truth and our persistent lies.

I see sick, ailing thoughts, in and outside my head, or anyone's head, closed thoughts, dark, suffocating thoughts. But sometimes, in this enclosed, grey, oppressing, claustrophobic space, I also see some incredible bursts of light.

Dopo La Battaglia was probably conceived in a need to flee, to return, to howl, cry, laugh and play again like children, a need to lose ourselves again, to find again some kind of center, to retrieve a sense of revolt, of faith, of clarity of mind, to speak once again of love, speaking through our bodies, through sounds and dance. »

Extract from Dopo La Battaglia – poetical/political writings,

All co-producers must be credited. Please, see attached file (Credits).



1890

1890  
დასაბამი - ESTABLISHED

# BORJOMI

## BRINGS BACK HARMONY TO YOUR BODY

თეატრი ეს ჩვენი ქვეყნის  
კულტურაა, სიმდიდრე,  
„ბორჯომი“ კი ჩვენი ქვეყნის  
საგანძური. სწორედ ამიტომ  
უკვე წლებია, კომპანია IDS  
ბორჯომი საქართველო  
სიამაყით უჭერს მხარს  
თბილისის საერთაშორისო  
თეატრალურ ფესტივალს.  
„ბორჯომი“ - ყოველთვის  
თანამედროვე 1890 წლიდან!





[www.19-27.co.uk](http://www.19-27.co.uk)

კომპანია 1927, დიდი ბრიტანეთი  
Company 1927, UK

# ბავშვები და ძაღლები მოედნენ ქუჩას

## The animals and children took to the streets

# 5-6/10/2013

ადგილი: თბილისის ნოდარ დუმბაძის  
სახელობის სახელწმიფო ცენტრალური  
საბავშვო თეატრი (დიდი სცენა)  
დასაწყისი: 20:00 საათზე  
ხანგრძლივობა: 70 წუთი  
(ერთ მოქმედებად)  
ფასი: 30 ლარი

Venue: Nodar Dumbadze Tbilisi State ???  
Central Theatre (Big Stage)  
Beginning at: 20:00  
Duration: 70 minutes (without intermission)  
Ticket Price: 30 GEL

ავტორი და რეჟისორი: სუზან ანდრადე  
ფილმის, ანიმაციისა და დიზაინის ავტორი:  
პოლ ბარიტი  
ლილიან ჰენლის მუსიკა  
კოსტიუმების ავტორი: სარა მუნრო და  
ესმე აპლეთონი  
შემსრულებლები: სიუ ეფლბი, ელვანორ  
ბუჩანი და ლევის ბარფუთი  
დარაჯის ხმა: ჯეიმს ადი  
მენეჯერი: სტივ ვათლინგი  
პროდიუსერი: ჯოანა ქროული  
ორიგინალურ ვერსიას ასრულებენ სუზან  
ანდრადე, ესმე აპლეთონი და ლილიან  
ჰენლი

Directed & Written by Suzanne Andrade  
Film, Animation and Design by Paul Barritt  
Music by Lillian Henley  
Costume by Sarah Munro & Esme  
Appleton  
Performed by Sue Appleby, Eleanor  
Buchan & Lewis Barfoot  
Voice of the Caretaker: James Addie  
Production Manager: Steve Watling  
Producer: Joanna Crowley

Originally performed by Suzanne Andrade,  
Esme Appleton & Lillian Henley



## კომპანია 1927 , დიდი ბრიტანეთი

კომპანია 1927 ლონდონური დასია, რომელიც აერთიანებს თეატრალურ წარმოდგენას, ცოცხალ მუსიკას, ანიმაციას და ქმნის ერთგვარ ჯადოსნურ კინემატოგრაფიულ თეატრს.

საკუთარ ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთაც კარგად ცნობილი დასი 2005 წელს დააარსეს მწერალმა, შემსრულებელმა და რეჟისორმა სუზან ანდრადემ და ანიმატორმა და ილუსტრატორმა პულ ბარიტმა. ჯგუფს 2006 წელს შემსრულებელი და კოსტიუმების დიზაინერი ესმე აპლეთონი და შემსრულებელი, კომპოზიტორი და მუსიკოსი ლილიან ჰენლი შეუერთდნენ.

2007 წელს უკვე პროდიუსერმა ჯო ქროულიმ დაიწყო დასთან თანამშრომლობა.

კომპანია 1927-ის ჯგუფის ოთხივე წევრს განსხვავებული შემოქმედებითი გამოცდილება აქვს. სწორედ მათი საინტერესო თანამშრომლობა და მხატვრული ხედვა ქმნის უნიკალურ, ინოვაციურ და ორიგინალურ შემოქმედებას. ცოცხალი მსახიობებისა და ანიმაციის ურთიერთობა წარმოგვიდგენს დინამიკურ ინოვაციურ თეატრალურ სანახაობას. კომპანია 1927-ს უნიკალური პერფორმანსის სტილი აქვს. დასის წევრებმა გააერთიანეს ფილმი, პერფორმანსი, მუსიკა და შექმნეს ტექნიკურად და კონცეპტუალურად ძალიან ეფექტური ნაზავი, რაც დასის ყოველ ნამუშევარს უნიკალურობას მატებს.

ამ ჯგუფის მიერ ერთმანეთთან ფაქიზად

შერწყმული ცოცხალი მუსიკა, ანიმაცია, ფილმი, სპექტაკლი და სიმღერა განუმეორებელ თეატრალურ წარმოდგენას ქმნის.

## წარმოდგენის შესახებ:

მობრძანდით, გეპატიჟებით მდინარის განაპირა ყურეში. აქ, სანაპიროზე ქალაქის ყველაზე საშიში და საზიზღარი დიდი საცხოვრებელი სახლებია, იჯარით აღებული აქოთებულები ადგილი, სადაც ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობენ სხვების ეროტიკული სცენების ჩუმ-ჩუმად ჯვრეტისა და თვალთვალის მოყვარული ადამიანები. . . და

მგელი. . . რომელიც მუდამ კართან იცდის. აგნეს ივესი და მისი ქალიშვილი გვიან ღამით ჩამოდიან ამ უსახურ ადგილას. ნუთუ ნამდვილი საშინელება ახლა იწყება?

წარმოდგენას ცოცხალი მუსიკა აერთიანებს და ამბის თხრობა ფილმებისა და ანიმაციის პარალელურად მიმდინარეობს. ეს ყოველივე საყოველთაოდ ცნობილ, მრავალი ჯილდოს მფლობელ ამბავს *Between the Devil and the Deep Blue Sea* უკავშირდება.

ჯგუფი 1927 გთავაზობთ მეტად ორიგინალურ თეატრალურ მოგზაურობას, ცხოვრებაში გადმოტანილ დიდ ნოველას.

## პრესა:

„ვეთილგანწყობა დაგეუფლებათ ამ ჭკვიანურად მოფიქრებული, ნამდვილად დამანგრეველი სოციალური მობილობის, რევოლუციის და მათი ჩახშობის პარალელების მიმართ... 1927 წარმოგვიდგენს იმდენად სრულყოფილ სამყაროს, რომ გეგონებათ საოცრებათა ქვეყნისკენ მიმავალ უსასრულო ორმოში ვარდებით.“

The Guardian

„... სრულყოფილი ალტერნატიული წარმოდგენაა. უფრო მეტიც - სრულყოფილი წარმოდგენა“.

The Financial Times

სპექტაკლი დააფინანსა BAC-m, Malthouse Theatre & The Showroom (ჩიჩესტერის უნივერსიტეტი)

მხარდამჭერი - Corn Exchange Newbury ადრეული ვერსიის მხარდამჭერია The Arches da Manipulate Visual Theatre Festival

## 1927, UK

1927 is a London based performance company that specialise in combining performance and live music with animation and film to create magical filmic theatre.

Celebrated at home and overseas, the Company was founded in 2005 by Writer, Performer & Director Suzanne Andrade and Animator & Illustrator Paul Barritt. In 2006, Performer & Costume Designer Esme Appleton and Performer, Composer



& Musician Lillian Henley joined and in 2007, Producer Jo Crowley began collaborating with the company. All four creative members of 1927 come from different artistic backgrounds, and it is the collaboration between these artists and the complete integration of artistic disciplines, that has paved the way for 1927 to create its unique, innovative and highly original work. At the heart of 1927's practice is the desire to explore the relationship between live actor and animation to create dynamic and innovative live theatre. 1927 fuse, merge and mix creative mediums to create a unique performance style. The company has developed an approach to combining the mediums of film, performance and music to great effect, both technically and conceptually; pushing the forms the company works in to new and exciting places. 1927 has mastered a delicate marriage of live music, animation, film, performance and song – taking disparate elements and making them work in harmony to create unique theatrical experiences.





### About performance:

Welcome to the Bayou, a part of the city feared and loathed wherein lies the infamous Bayou Mansions; a sprawling stinking tenement block, where curtain-twitchers and peeping-toms live side by side, and the wolf... is always at the door.

When Agnes Eaves and her daughter arrive late one night, does it signal hope in this hopeless place, or has the real horror only just begun?

Seamlessly synchronising live music, performance and storytelling with stunning films and animation this is the wickedly twisted international hit tale from the multiple award-winning company behind *Between the Devil and the Deep Blue Sea*.

Like a giant novel burst into life, 1927 invite you on a theatrical journey of startling originality.

### PRESS:

'Think Alexander Rodchenko meets Tim Burton, Charles Dickens meets Fritz Lang,







and the early 20thcenturysilent movie meets the 21st-century graphic novel, and you have something of the flavour of this jawdroppingly clever and gloriously subversive parable of social mobility, revolution and its suppression... 1927 conjure a world so complete it feels as if you've fallen down a rabbit hole'

'a really astonishing piece of work from 1927.' The Guardian

This is a perfect alternative show. In fact, it is a perfect show.' The Financial Times

#### Additional Show Credits

Co-commissioned by BAC, Malthouse Theatre & The Showroom (University of Chichester)

Supported by Corn Exchange Newbury  
Early development supported by The Arches & Manipulate Visual Theatre Festival.





საქართველოს ბანკი  
**SOLO**

იგიძენი მომავალი

# გენერალური პარტნიორი



„საქართველოს ბანკი“

„საქართველოს ბანკის“ ბერსონალური საბანკო მომსახურება **SOLO**-ს სახელით, მივსალმებით თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ორგანიზატორებს, მონაწილეებს, გულშემატიკეებს და ვულოცავთ ფესტივალის დაარსების ხუთი წლის იუბილეს. მოხარული ვართ, რომ **SOLO** უკვე მეორე წელია, გენერალური პარტნიორის რანგში მხარს უჭერს ამ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში. დარწმუნებული ვართ, რომ ფესტივალის წლებიდან დღემდე გამოჩეული და ძალიან საინტერესო პროგრამა იქნება ნამდვილი საჩუქარი თეატრის ყველა მოყვარულისთვის. გვამაყება, რომ შესაძლებლობა გვაქვს მათთან ერთად გავიზიაროთ ამ ღირსშესანიშნავი კულტურული მოვლენის წარმატება.



თბილისის  
საერთაშორისო  
თეატრალური  
ფესტივალი

საერთაშორისო პროგრამა

NE

**EW**



# DERDIEDANS

22/09/2013

ადგილი: კოტე მარჯანიშვილის  
სახელობის სახელმწიფო დრამატული  
თეატრი (დიდი სცენა)  
დასაწყისი: 20:00 საათზე  
ხანგრძლივობა: 90 წუთი (ერთ  
მოქმედებად)  
ფასი: 15, 12, 10 ლარი

Venue: Kote Marjanishvili State Drama  
Theatre (Big Stage)  
Beginning at: 20:00  
Duration: 90 minutes (without intermission)  
Ticket Price: 15; 12; 10 GEL

წარმონდგენა აგებულია ფლორინ  
ფიეროიუს კონცეფციებზე

რეჟისორი და სამხატვრო კოორდინატორი:  
ფლორინ ფიეროიუ  
კომპოზიტორი: ვლაიკუ გოლჯეა  
სცენოგრაფი: კრისტინა მილეა  
ფოტოგრაფი: ადრიან ბულბოაცა

მონაწილეობენ:  
იოანა იაკობი, დანიელა ტოროკი, ოლგა  
ტოროკი, სილვია ტოროკი, ან-მარი  
ვალდეკი, ფრანს კატეში, კონსტანტინ  
კეიდელი, გეორგ ფითში, ჰორია სავესკუ,  
რადუ ვულპე

based on a concept by Florin Fieroiu  
"Derdiedans"  
Body Context Performance/ Performance

Director and Artistic coordination - Florin  
Fieroiu  
Composer Vlaicu Golcea  
Scenography Cristina Milea  
Photographer Adrian Bulboacă

Cast:  
Ioana Iacob, Daniela Török, Olga Török,  
Silvia Török, Anne-Marie Waldeck, Franz  
Kattesch, Konstantin Keidel, Georg Peetz,  
Horia Săvescu, Radu Vulpe



## გერმანული სახელმწიფო თეატრი ტიმიშოარა, რუმინეთი

გერმანული სახელმწიფო თეატრი ტიმიშოარა 1953 წლის 1 იანვარს დაარსდა ბუქარესტის სამინისტროების საბჭოსა და სახელმწიფო თეატრ ტიმიშოარას დადგენილების საფუძველზე. 1956 წელს თეატრმა მიიღო ადმინისტრაციული დამოუკიდებლობა და შეიცვალა დასახელება „გერმანული სახელმწიფო თეატრი ტიმიშოარა.“ ეს თეატრი წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა

